



Project funded by
EUROPEAN UNION



ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატ-გონივრული და
მწვანე სოფლის მეურნეობისათვის (AGREEN)
კონტრაქტი No. BSB 1135



მიზანშეწონილობის კვლევა

კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის პოტენციური შავი ზღვის აუზში

საქართველო

Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION



*ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატ-გონივრული და
მწვანე სოფლის მეურნეობისათვის*

კონტრაქტი No. BSB 1135

მიზანშეწონილობის კვლევა

კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის პოტენციური შავი ზღვის აუზში
საქართველო

პროექტი ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატ-გონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისათვის, No. BSB 1135 დაფინანსებულია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ერთობლივი ოპერაციული პროგრამით, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის „შავი ზღვის აუზი 2014-2020“-ის ფარგლებში - პრიორიტეტი 1.2 „ტრანსსასაზღვრო შესაძლებლობების გაზრდა ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული სექტორების მოდერნიზაციისთვის“.



Project funded by
EUROPEAN UNION



სარჩევი

1. ზოგადი აღწერა	4
1.1 შესავალი.....	4
2. შესავალი	8
2.1 სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოში	8
2.2 კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოზე.....	16
საქართველოში არსებული კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ზოგადი მიმოხილვა.	16
2.3 საქართველოში კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის SWOT ანალიზი ...	24
3. კვლევის მეთოდოლოგია.....	25
3.1 ინფორმაციის წყარო	25
3.2 კონტექსტი	42
3.3 სირთულეები კვლევის დროს	43
4. ორგანული სოფლის მეურნეობა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკები საქართველოში	44
4.1 პირობები მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.....	44
4.2 რესურსები	45
4.3 დაფინანსების სფეროში არსებული პოლიტიკა და ინსტრუმენტები.....	45
4.4 შიდა და საერთაშორისო ბაზრები კლიმატ-გონივრული პროდუქტისთვის	46
4.5 კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში გამოყენების სარგებელი ⁴⁷	
4.6 კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის დანერგვის შემაჯერებელი გარემოებები.....	48
5. კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობა პრაქტიკაში და მოდელები	49
6. დასკვნები	58



Project funded by
EUROPEAN UNION



1. ზოგადი აღწერა

ავტორი: ირაკლი ჯავახიშვილი

დაფინანსების წყარო: პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის / ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიერ

პუბლიკაციის თარიღი: 2021 წლის მაისი

ენა: ქართული

თემა: კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობა

საკვანძო სიტყვები: კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობა, შავი ზღვის აუზი, ევროპა

სამიზნე აუდიტორია:

- პარტნიორები
- საერთაშორისო პოლიტიკის კვლევითი ორგანიზაციები
- საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტები
- სოფლის მეურნეობის ექსტენციის წარმომადგენლები
- არასამთავრობო ორგანიზაციები

დოკუმენტის ტიპი: ანგარიში

1.1 შესავალი

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მდგომარეობის კვლევა საქართველოში განხორციელდა პროექტი „ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისათვის (AGREEN)“ ფარგლებში.

პროექტის მიზანია: მეწარმეთა და ექსპერტთა ტრანსსასაზღვრო ქსელის შექმნა და ცოდნის გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებას;

პროექტის ხანგრძლივობა: 2020 წლის ივნისი - 2022 წლის ნოემბერი;

პროექტი დაფინანსებულია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ერთობლივი ოპერაციული პროგრამით, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის „შავი ზღვის აუზი 2014-2020“-ის ფარგლებში

კვლევის მიზანია: შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის წინაშე არსებული გამოწვევებისა და განვითარების შესაძლებლობების შესწავლა.

საქართველოს ფარგლებში კვლევა ჩაატარა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ და მის ფარგლებში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- სოფლის მეურნეობის დარგის ზოგადი მდგომარეობა;
- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ზოგადი მიმოხილვა;
- საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიმართ;
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მოქმედი ორგანიზაციების და უწყებების წარმომადგენლების დამოკიდებულება ქვეყანაში

Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION



კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიმართ მიმდინარე საქმიანობებისა და ტენდენციების მიმართ.

კვლევის ჩატარების პროცესში გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდები:

- სამაგიდე კვლევა - არსებული ლიტერატურის და მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი;
- მოსახლეობის გამოკითხვა - საქართველოს მასშტაბით 105 ადამიანის სატელეფონო გამოკითხვა;
- ჩაღრმავებული ინტერვიუები - აკადემიური წრის, არასამთავრობო, კერძო და საჯარო სექტორის 50 წარმომადგენელთან.

კვლევის შედეგები:

საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევების ჩატარება დაიწყო XX საუკუნის შუიდან, ნაწილობრივ გასაიდუმლოებული სსრკ-ს მასშტაბით განხორციელებული კვლევების ფარგლებში. ეს პროცესი დროებით შეწყდა 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო, რომელიც სსრკ-ს დაშლას და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას მოყვა. კლიმატის ცვლილებების კვლევა ქვეყანაში განახლდა მხოლოდ 1994 წლის შემდეგ, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, მიუერთდა საერთაშორისო კონვენციებს.

ჩატარებული კვლევების მიხედვით კლიმატის ცვლილებამ საქართველოში შემდეგი უარყოფითი შედეგები გამოავლინა:

- საშუალო წლიური ტემპერატურის მატება;
- ნალექების რეჟიმის ცვლილება;
- წყლის ხელმისაწვდომობის შემცირება;
- ფორს-მაჟორული მოვლენების გახშირება: წყალდიდობების, წყალმოვარდნების, მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა;
- შავი ზღვის დონის აწევა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი გავლენა კლიმატის ცვლილებაზე ძირითადად სათბური აირების გაფრქვევის ხარჯზე ხდება და მისი წილი ქვეყნის სათბური აირების ემისიებში - 18%-ს შეადგენს, ხოლო 2010-2015 წლების პერიოდში ემისიების ინტენსიურობის ჯამურმა წლიურმა მატებამ - 6.3% შეადგინა, რამაც დასავლეთ საქართველოს რეგიონებში საშუალო ტემპერატურის მატება 0.7°C, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 0.6°C გამოიწვია. კლიმატის ცვლილების ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, მოსალოდნელი მაქსიმალური ტემპერატურის მატების პროგნოზი 2.1°C-ს შეადგენს.

კლიმატის ცვლილებების ტენდენციების შენარჩუნება სოფლის მეურნეობის დარგს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს, რაც გამოწვეული იქნება შემდეგი ფაქტორებით:



Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION



- სასოფლო-სამეურნეო ზონების შეცვლით;
- სოფლის მეურნეობის სექტორის პროდუქტიულობის შემცირებით;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების კლებით და მორწყვადი მიწების შემცირებით.

კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ნეგატიური გავლენების ანალიზის შედეგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგისათვის ძირითად გამოწვევებად მიჩნეულია:

- სათბური აირების გაფრქვევის შემცირება;
- კლიმატის ცვლილების შერბილება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარება.

ამ გამოწვევების ფონზე გასათვალისწინებელია კვლევის შედეგად დაფიქსირებული საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და დამოკიდებულების გამოვლენები, რომლებიც შემდეგნაირად გამოიხატება:

- მოსახლეობისათვის უცნობია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფცია;
- მოსახლეობა მას უკავშირებს გარემოსდაცვით გლობალურ პროცესებს და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას;
- გამოკითხულთა აზრით კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა ხელს შეუწყობს ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოსახლეობის ჯანმრთელი პროდუქტებით უზრუნველყოფას;
- მიუხედავად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფციის არცოდნისა, შესაბამისი განმარტების მიღების შემდეგ, მოსახლეობის მხრიდან მის განვითარების მიმართ დადებითი დამოკიდებულებაა.

ამასთან ერთად, ქვეყანაში მოქმედი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში ჩართულმა ორგანიზაციებმა დააფიქსირეს:

- ქვეყნის პოლიტიკა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კუთხით მიჩნეულია სუსტად და ფორმალურად;
- კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე ინფორმირებულობა შემოიფარგლება დონორების მიერ დაფინანსებული კვლევების, ან სტრატეგიული დოკუმენტების შედგენის პრეზენტაციებზე გაჟღერებული ინფორმაციით;
- ზოგ შემთხვევაში, სტრატეგიულ დოკუმენტებში კლიმატგონივრული პუნქტების შეტანა საკმარის ქმედებად არის მიჩნეული;
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება გარდაუვლად არის მიჩნეული და აღიარებულია, რომ ქვეყანას ამის რესურსი და პოტენციალი გააჩნია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის დარგის ძირითად დოკუმენტად, რომელმაც გავლენა უნდა მოახდინოს კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული უარყოფითი გავლენების შემცირებაზე, აღიარებულია:



Project funded by
EUROPEAN UNION



- სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და სოფლის მეურნეობის განვითარების სამოქმედო გეგმა.

ასევე აღიარებულია ისიც, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი გავლენების შემცირების ეფექტურობის გაზრდისათვის, ძირითად გამოწვევებს საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგისათვის წარმოადგენს:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის საკითხებში;
- ინვესტიციების განხორციელება კლიმატგონივრულ ტექნოლოგიებში;
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვა;
- მოსახლეობის და ძირითადი მოქმედი პირების ჩართვა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებაში;
- კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტი.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ, მიუხედავად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის მოსახლეობაში, ამ დარში გარკვეული კლიმატგონივრული ტექნოლოგიები და მეთოდები უკვე წლებია გამოიყენება და წარმატებული შედეგებიც გააჩნია (წვეთოვანი სარწყავი სისტემები, აბორიგენული კულტურები და სხვა).



Project funded by
EUROPEAN UNION




2. შესავალი

2.1 სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მაჩვენებლები

დიაგრამა #2.1.1. - მიწის ფართობები:



საქართველოს ტერიტორია 69,000 კმ² შეადგენს, საიდანაც 44% - სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, 20% - სამოვარი, 40% ტყით დაფარული მასივები და 4% - დაცული ტერიტორიებია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25% სახნავი ფართობებია, რაც მთლიანი ფართობის 11%-ს წარმოადგენს, ხოლო სარწყავი წყლით უზრუნველყოფილია სახნავი ფართობების 44%, რაც მთლიანი ფართობის მხოლოდ 5%-ია.

ცხრილი 2.1.1. - სოფლად მოსახლეობის რიცხვი:

ცხრილი 1.1. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისისათვის

Table 1.1. Rural population as of beginning of the year

წელი	სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობის წილი ქვეყნის მოსახლეობაში (%)
Year	Rural population (th. inhabitants)	Share of rural population in the total population (%)
2016	1 577.1	42.3
2017	1 564.5	42.0
2018	1 554.8	41.7
2019	1 539.1	41.3
2020	1 522.4	41.0


სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი ბოლო წლების განმავლობაში მცირდება და ეს პროცესი სტაბილურ ხასიათს ატარებს. სოფლის მოსახლეობის შემცირების ძირითადი მიზეზი ახალგაზრდების გადინებაა.



Project funded by
EUROPEAN UNION



დიაგრამა 2.1.2. - სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილება ერთ კომლზე რეგიონების მიხედვით:



საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი შინამეურნეობებზეა განაწილებული და რეგიონების მიხედვით ეს განაწილება, მიწის რესურსების ოდენობიდან გამომდინარე, არათანაბარია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახეთის რეგიონს ეკუთვნის (3.6 ჰა), ხოლო ყველაზე დაბალი - რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონს (0.2 ჰა). ფართობების ზომიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავინახოთ ისიც რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგი მცირემიწიანი მეურნეობებითაა წარმოდგენილი.

გრაფიკი # 2.

ცხრილი 2.1.2. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში:

ცხრილი 1.2. მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (%)

Table 1.2. Structure of GDP (%)

	2016	2017	2018	2019*	
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	8.3	7.2	7.8	7.2	Agriculture, forestry and fishing
მრეწველობა	13.0	14.2	14.6	14.4	Industry
მშენებლობა	8.8	9.1	8.3	8.6	Construction
ვაჭრობა	13.9	14.0	13.9	14.4	Trade
ტრანსპორტი და დასაწყობება	5.7	6.4	6.3	6.5	Transportation and storage
სხვა	50.3	49.1	49.0	48.8	Other branches

* წინასწარი მონაცემები.

* Preliminary data.

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სტაბილურად დაბალია და ბოლო წლების განმავლობაში 7-8%-ის ფარგლებში მერყეობს.



Project funded by
EUROPEAN UNION



ცხრილი 2.1.3. სასოფლო-სამეურნეო დარგის სტრუქტურა (დარგების წილები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში (%):

ცხრილი 1.5. მემცენარეობის, მეცხოველეობის და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წილები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში (%)

Table 1.5. Shares of plant growing, animal husbandry and agricultural services in agricultural output (%)

	2016	2017	2018	2019*	
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, სულ	100	100	100	100	Output of agriculture, total
მემცენარეობა	41	39	45	43	Plant growing
მეცხოველეობა	52	54	48	50	Animal husbandry
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	7	7	6	7	Agricultural services

* წინასწარი მონაცემები.

* Preliminary data.

სოფლის მეურნეობის დარგში მემცენარეობის წილი ბოლო წლების განმავლობაში 40-45%-ის ფარგლებში, მეცხოველეობის წილი 48-54%-ის ფარგლებში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო

მომსახურეობის წილი - 6-7%-ის ფარგლებში მერყეობს.

ცხრილი 2.1.4. მინერალური სასუქების გამოყენება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა):

ცხრილი 1.10. სასოფლო მეურნეობების მიერ გამოყენებული მინერალური სასუქები რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)

Table 1.10. Mineral fertilizers used by agricultural holdings by regions (ths. tons)

	გამოყენებული ყველა სახის მინერალური სასუქი				
	2016	2017	2018	2019	
საქართველო	57.7	46.6	48.2	42.5	Georgia
აჭარის არ	3.4	2.8	3.6	3.0	Adjara AR
გურია	2.7	1.7	1.4	1.0	Guria
იმერეთი	9.0	8.6	7.3	6.9	Imereti
კახეთი	12.3	10.8	12.8	10.2	Kakheti
სამეგრელო-ზემო სვანეთი	12.7	9.4	9.0	7.6	Samegrelo-Zemo Svaneti
სამცხე-ჯავახეთი	6.8	7.7	6.2	4.7	Samtskhe-Javakheti
ქვემო ქართლი	4.1	2.3	2.8	2.7	Kvemo Kartli
შიდა ქართლი	6.2	3.0	4.6	6.1	Shida Kartli
დანარჩენი რეგიონები	0.4	0.2	0.4	0.2	The remaining regions

მინერალური სასუქების გამოყენების მაჩვენებლები ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ძირითად სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში (შიდა ქართლი და კახეთი) თითქმის უცვლელია და წლების განმავლობაში დაახლოებით ერთი და იგივე მაჩვენებლის

გარშემო მერყეობს, ხოლო დანარჩენ რეგიონებში ეს მაჩვენებელი შემცირების ტენდენციას განიცდის (ზოგ რეგიონში, მაგ. გურია, კლება 50%-ს აღემატება).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია სასუქების სახეობების მიხედვით განსხვავებულია და, თუ აზოტოვანი სასუქის გამოყენებას კლებადი ტენდენცია გააჩნია, კომპლექსური სასუქების გამოყენება მცირე, მაგრამ სტაბილურ ზრდის ტენდენციით ხასიათდება.



Project funded by EUROPEAN UNION



ცხრილი 2.1.5 და 2.1.6 აზოტოვანი და სხვა სასუქების გამოყენება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)

მათ შორის: Of which:	სხვა სასუქები* Other fertilizers*			
	2016	2017	2018	2019
აზოტოვანი სასუქები Nitrogenous fertilizers				
საქართველო	51.0	39.7	41.4	35.0
აჭარის არ	3.2	2.6	2.9	2.4
გურია	2.6	1.7	1.3	1.0
იმერეთი	8.8	8.3	7.0	6.4
კახეთი	9.3	7.2	10.5	7.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10.9	7.2	6.9	6.3
სამცხე-ჯავახეთი	6.7	7.7	6.0	4.5
ქვემო ქართლი	3.6	2.0	2.5	2.3
შიდა ქართლი	5.5	2.8	3.9	4.7
დანარჩენი რეგიონები	0.3	0.2	0.3	0.2

ცხრილი 2.1.7 საშემოდგომო და საზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა)

ცხრილი 2.1.1. საშემოდგომო და საზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰექტარი)

Table 2.1.1. Sown areas of winter and spring crops (ths. hectares)

	2016	2017	2018	2019	
ნათესი ფართობი, სულ	240.0	220.3	207.1	203.0	Sown area, total
მათ შორის:					Of which:
საშემოდგომო კულტურები (ხორბალი, ქერი)	60.5	53.6	54.5	53.8	Winter crops (wheat, barley)
საზაფხულო კულტურები	179.5	166.6	152.7	149.2	Spring crops
მათ შორის:					Of which:
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები*	119.5	108.3	98.8	98.6	Grain and leguminous crops*
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურები	38.9	37.0	34.3	32.1	Potato, vegetables and melons
სხვა კულტურები	21.1	21.3	19.6	18.5	Other crops

* ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, სიმინდი, პარკოსანი კულტურები.
* wheat, barley, rye, oats, maize, pulses.

ცხრილი 2.1.8. პირუტყვის, ფრინველის და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა (წლის ბოლოსათვის ათასი სული)

ცხრილი 3.1. პირუტყვის, ფრინველისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა (წლის ბოლოსათვის, ათასი სული)

Table 3.1. Number of livestock (as of end of year, ths. heads)

	2016	2017	2018	2019	
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	962.7	909.7	878.9	869.5	Bovine animals
აქედან:					Of which:
2 წელზე უფროსი	577.7	541.5	518.4	501.4	Above 2 years
ფური და ფურკამეჩი	509.3	477.4	458.0	441.8	Dairy cows and buffaloes
ღორი	136.2	150.7	163.2	155.5	Pigs
ცხვარი	875.9	855.9	819.1	841.9	Sheep
თხა	60.6	51.1	50.3	49.7	Goats
ფრინველი, ათასი ფრთა	8 237.8	8 386.0	8 110.9	9 466.4	Poultry
ფუტკრის ოჯახი, ათასი სკა	205.3	240.6	257.8	257.3	Beehives, ths. hives



Project funded by
EUROPEAN UNION



ცხრილი 2.1.9 სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა (ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილები კულტურათა სხვადასხვა ჯგუფების ნათეს ფართობებში - %):

ცხრილი 2.1.4. ოჯახური მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილები კულტურათა სხვადასხვა ჯგუფების ნათეს ფართობებში (%)

Table 2.1.4. Shares of family holdings and agricultural enterprises in the sown areas of various crop groups (%)

ოჯახური მეურნეობების წილი	Share of family holdings				
	2016	2017	2018	2019	
ნათესი ფართობი, სულ	93.7	93.3	92.7	91.3	Sown area, total
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	93.4	91.9	91.0	90.0	Grain and leguminous crops
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	99.2	99.0	99.2	98.4	Potato, vegetables and melons
სხვა კულტურები	86.9	94.2	94.4	89.9	Other crops
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი	Share of agricultural enterprises				
	2016	2017	2018	2019	
ნათესი ფართობი, სულ	6.3	6.7	7.3	8.7	Sown area, total
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	6.6	8.1	9.0	10.0	Grain and leguminous crops
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	0.8	1.0	0.8	1.6	Potato, vegetables and melons
სხვა კულტურები	13.1	5.8	5.6	10.1	Other crops

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგის მემცენარეობის სექტორში ერთწლიანი კულტურების წარმოების ძირითადი წილი შინამეურნეობებზე მოდის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილის ზრდა უმნიშვნელოა.

ცხრილი 2.2.1. მრავალწლოვანი კულტურების წარმოება
Table 2.2.1. Production of permanent crops

წელი Year	ხილი* Fruit*	ჩაის ფოთოლი Tea leaf
წარმოება (ათასი ტონა) Production (ths. tons)		
2016	411.1	3.0
2017	353.0	2.3
2018	514.5	1.7
2019	502.2	2.0
ოჯახური მეურნეობების წილი მთლიან წარმოებაში, % Share of family holdings in the total production, %		
2016	93.6	80.0
2017	90.9	73.3
2018	92.8	72.3
2019	90.7	59.9
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი მთლიან წარმოებაში, % Share of agricultural enterprises in the total production, %		
2016	6.4	20.0
2017	9.1	26.7
2018	7.2	27.7
2019	9.3	40.1

* ყურძნის და ციტრუსის ჩათვლით.
* Including grapes and citrus.

ცხრილი 2.1.10 მრავალწლოვანი კულტურების წარმოების სტრუქტურა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგის მემცენარეობის სექტორის მრავალწლიანი კულტურების წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი ბოლო წლების განმავლობაში 9.3%-დე გაიზარდა, მათი წილი მთლიან წარმოებაში ჯერ

კიდევ დაბალია.





Project funded by
EUROPEAN UNION



ცხრილი 2.1.11 მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სტრუქტურა

ცხრილი 3.2. ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილები პირუტყვის, ფრინველისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობაში
(წლის ბოლოსათვის, %)

Table 3.2. Shares of family holdings and agricultural enterprises in livestock numbers
(as of end of year, %)

ოჯახური მეურნეობების წილი		Share of family holdings			
	2016	2017	2018	2019	
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	99.2	99.2	99.3	98.0	Bovine animals
აქედან:					Of which:
ფური და ფურკამეჩი	99.2	99.3	99.1	97.5	Dairy cows and buffaloes
ღორი	91.0	94.7	91.3	90.4	Pigs
ცხვარი და თხა	96.3	95.9	96.6	97.1	Sheep and goats
ფრინველი	50.8	48.8	44.3	35.7	Poultry
ფუტკრის ოჯახი	98.4	98.8	95.0	93.5	Beehives
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი		Share of agricultural enterprises			
	2016	2017	2018	2019	
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.8	0.8	0.7	2.0	Bovine animals
აქედან:					Of which:
ფური და ფურკამეჩი	0.8	0.7	0.9	2.5	Dairy cows and buffaloes
ღორი	9.0	5.3	8.7	9.6	Pigs
ცხვარი და თხა	3.7	4.1	3.4	2.9	Sheep and goats
ფრინველი	49.2	51.2	55.7	64.3	Poultry
ფუტკრის ოჯახი	1.6	1.2	5.0	6.5	Beehives

საქართველოს სასოფლო სამეურნეო დარგის მეცხოველეობის სექტორში განსხვავებული ტენდენციებია. როდესაც მთლიანად მეცხოველეობის სექტორში შინამეურნეობების წილის მაღალი მაჩვენებელი ნარჩუნდება, მეფუტკრეობისა და მეფრინველეობის სექტორებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილი - სტაბილურად იზრდება.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგი ჯერ კიდევ შინამეურნეობების იმედზეა და დარგის ასეთი მდგომარეობა მის დაბალ კომერციალიზაციაზე მეტყველებს, რასაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებელიც ადასტურებს:

ცხრილი #2.1.12 სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობის ფულად შემოსავლებში (%)

ცხრილი 1.6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში (%)

Table 1.6. Share of income from selling agricultural production in the total income of household (%)

2016	2017	2018	2019
6.4	4.7	5.5	5.5

მიუხედავად იმისა, რომ შინამეურნეობებს საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში ძირითადი წილი უკავია და პროდუქტის წარმოების

წილიც ძირითადად ასეთ მეურნეობებზე მოდის, სოფლის მოსახლეობის შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან დაბალია და ბოლო პერიოდის განმავლობაში საერთო შემოსავლების 5,5%-ს არ აღემატება. შინამეურნეობის შემოსავლების დანარჩენი 94,5%



Project funded by
EUROPEAN UNION



სოციალურ დახმარებებზე, პენსიებზე, ხელფასებზე, დაქირავებულ შრომაზე და გზავნილებზე მოდის, რაც სოფლის მოსახლეობის დაბერებაზე და მიგრაციის მაღალ დონეზე მიუთითებს.

პროდუქტების თითქმის სრულ ასორტიმენტში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის იმპორტზე დამოკიდებულებაზე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სექტორების წარმოება-მოხმარების ბალანსებიც მეტყველებს:

ცხრილი #2.1.13 ხორბლის ბალანსი ცხრილი 2.1.14 რძისა და რძის პროდუქტების ბალანსი

ცხრილი 4.1. ხორბლის ბალანსი*
Table 4.1. Balance sheet for wheat*

მაჩვენებლები	2016	2017	2018	2019	Indicators
რესურსები (ათასი ტონა)					Supply (ths. tons)
მარაგი წლის დასაწყისში	114	95	46	76	Opening stocks
ადგილობრივი წარმოება	127	98	107	101	Domestic production
იმპორტი	552	603	643	587	Import
სულ რესურსები	793	796	796	764	Total supply
გამოყენება (ათასი ტონა)					Utilization (ths. tons)
სათესლად	14	13	12	12	Seed
პირუტყვის საკვებად	27	26	22	21	Feed
სამრეცხველ მოხმარება (სპირტის საწარმოებლად)	5	5	5	5	Processing (into alcohol)
სასურსათო მოხმარება	623	645	642	638	Food
დანაკარგები	13	13	15	14	Waste
ექსპორტი	16	48	24	4	Export
მარაგი წლის ბოლოს	95	46	76	71	Closing stocks
მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	793	796	796	764	Total utilization (including stocks)

ცხრილი 4.11. რძისა და რძის პროდუქტების ბალანსი
Table 4.11. Balance sheet for milk and milk products

მაჩვენებლები	2016	2017	2018	2019	Indicators
რესურსები (ათასი ტონა)					Supply (ths. tons)
მარაგი წლის დასაწყისში	17	16	16	17	Opening stocks
ადგილობრივი წარმოება	540	528	555	562	Domestic production
იმპორტი	124	121	133	143	Import
სულ რესურსები	681	665	704	722	Total supply
გამოყენება (ათასი ტონა)					Utilization (ths. tons)
პირუტყვის საკვებად	11	11	12	10	Feed
სასურსათო მოხმარება	643	627	663	678	Food
დანაკარგები	8	7	8	8	Waste
ექსპორტი	3	4	4	9	Export
მარაგი წლის ბოლოს	16	16	17	17	Closing stocks
მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	681	665	704	722	Total utilization (including stocks)

ცხრილი 2.1.15 ხორცის ბალანსი

ცხრილი 4.6. ხორცის ბალანსი
Table 4.6. Balance sheet for meat

მაჩვენებლები	2016	2017	2018	2019	Indicators
რესურსები (ათასი ტონა)					Supply (ths. tons)
მარაგი წლის დასაწყისში	2.3	2.2	2.4	2.3	Opening stocks
ადგილობრივი წარმოება	66.1	66.2	72.6	69.5	Domestic production
იმპორტი	84.3	84.7	82.7	89.6	Import
სულ რესურსები	152.7	153.1	157.7	161.4	Total supply
გამოყენება (ათასი ტონა)					Utilization (ths. tons)
პირუტყვის საკვებად	0.1	0.1	0.1	0.1	Feed
სასურსათო მოხმარება	136.5	139.3	137.6	147.7	Food
დანაკარგები	0.9	0.8	1.0	1.0	Waste
ექსპორტი	13.0	10.5	16.7	10.4	Export
მარაგი წლის ბოლოს	2.2	2.4	2.3	2.3	Closing stocks
მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით)	152.7	153.1	157.7	161.4	Total utilization (including stocks)

წარმოდგენილ ბალანსებიდან ნათლად ჩანს, რომ სასურსათო პროდუქტების ბაზრის დიდი წილი იმპორტირებულ საქონელს უკავია და მისი მოცულობა სტაბილურად იზრდება.

იმპორტირებული პროდუქციის წილის ზრდის რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს:

- დაბალი საჰექტარო მოსავლიანობა,

რაც ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას არ იძლევა;

- შინამეურნეობების დიდი წილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მათი წარმოების ძირითადი მოცულობის თვითუზრუნველყოფზე ორიენტირება;
- სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არათანაბარ საგადასახდო პირობებში ყოფნა (იურიდიული პირები, გარდა სს კოოპერატივებისა, განთავისუფლებულები არიან მოგების გადასახადისაგან პირველად პროდუქტის წარმოებისას, მხოლოდ 100,000 ლარის, ხოლო მცირე მეწარმეები სარგებლობენ საგადასახდო შეღავათებით - 500.000 ლარის ფარგლებში). ეს მნიშვნელოვნად აუარესებს სოფლის მეურნეობის დარგის



Project funded by
EUROPEAN UNION



საინვესტიციო გარემოს და აფერხებს მის თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე გადასვლას;

- ქვეყანაში არ მოქმედებს სოფლის მეურნეობის სუბსიდირების სისტემა (გარდა მევენახეობის სექტორისა), როდესაც მეზობელ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელ ქვეყნებში ეს სისტემა ფართოდ არის გავრცელებული;
- თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გამო, იმპორტირებული პროდუქციის იმპორტის ტარიფებისაგან განთავისუფლება.

ცხრილი 2.1.16 ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა (ტ/ჰა)

ცხრილი 2.1.9. ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა*

(ტ/ჰა)

Table 2.1.9. Average yield of annual crops*

(t/ha)

	2016	2017	2018	2019	
ხორბალი, სულ	2.6	2.2	2.5	2.3	Wheat, total
მათ შორის:					Of which:
საშემოდგომო ხორბალი	2.6	2.2	2.5	2.3	Winter wheat
საგაზაფხულო ხორბალი	2.2	1.8	2.3	2.4	Spring wheat
ქერი, სულ	2.0	2.0	2.2	2.1	Barley, total
მათ შორის:					Of which:
საშემოდგომო ქერი	2.1	2.1	2.4	2.3	Winter barley
საგაზაფხულო ქერი	1.9	1.9	1.9	1.9	Spring barley
შვრია	1.7	1.7	1.6	1.3	Oats
სიმინდი	2.6	1.8	2.7	2.8	Maize
ლობიო	0.7	0.7	0.6	0.8	Haricot beans
მზესუმზირა	0.9	0.5	1.0	1.1	Sunflower
კარტოფილი	12.3	9.0	12.5	11.8	Potato
ბოსტნეული, სულ	8.2	7.3	8.8	10.0	Vegetables, total
აქედან:					Of which:
კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო და ბროკოლი	23.1	20.9	29.9	33.0	Cabbage, floral cabbage and broccoli
პომიდორი	9.9	9.8	11.0	13.4	Tomato
კუტი	9.2	9.7	12.4	10.4	Cucumber
ხახვი ბოლქვად	8.5	6.0	6.7	6.7	Onion (dry)
ნიორი	2.9	3.1	3.3	2.4	Garlic
ბალჩეული, სულ	22.0	25.8	24.4	25.1	Melons, total
აქედან:					Of which:
საზამთრო	25.2	31.2	30.9	31.2	Watermelon
ნესვი	13.7	12.4	13.3	12.4	Melon
ერთწლიანი ბალახები თივად	3.6	3.4	4.4	4.5	Hay of annual grasses
მრავალწლიანი ბალახები თივად	3.7	3.7	3.6	3.8	Hay of perennial grasses

* საშუალო მოსავლიანობა გაიანგარიშება მხოლოდ წმინდა ნათესებიდან აღებული მოსავლის მიხედვით.

* In calculation of average yield only the harvest from pure sown areas is taken into account.

ძირითადი დასკვნები:

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის კვლევის ანალიზიდან შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგი ძირითად წვრილ ოჯახურ მეურნეობებიდან შედგება - 90%-ზე მეტი;
- მინერალური სასუქების გამოყენება გამოირჩევა კლებადი ტენდენციით (ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირდა 26%-ით);
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 44%-შეადგენს, ხოლო გასარწყავიანებულია მხოლოდ მთლიანი ტერიტორიის 5%;
- მიმდინარეობს სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესი და ეს ტენდენცია სტაბილურია;



Project funded by
EUROPEAN UNION



- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლები სოფლის მოსახლეობის საერთო შემოსავლის მხოლოდ 5.5%-ს შეადგენს;
- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარის დიდი წილი იმპორტირებულ პროდუქციას უკავია.

2.2 კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოზე

საქართველოში არსებული კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ზოგადი მიმოხილვა.

კლიმატის გლობალური ცვლილება თანამედროვე მსოფლიოს უმთავრესი გამოწვევაა. მთელი მსოფლიო მასშტაბით მოსალოდნელია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გაჩენა, როგორცაა: ნალექიანობის მაჩვენებლის ცვლილება, ექსტრემალური კლიმატური მოვლენების (გვალვები, სითბური ტალღები, ქარიშხლები და ა.შ.) მატება. ასევე, მოსალოდნელია სავეგეტაციო პერიოდის ცვლილება, რაც უარყოფითად აისახება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და სურსათით მომარაგებაზე.

კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა საქართველოს ეკოსისტემებსა და ეკონომიკაზე დიდ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მდგრად განვითარებას. ქვეყანაში აღინიშნება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შემდეგი უარყოფითი შედეგები: ტემპერატურის მატება, ნალექების რეჟიმის ცვლილება, წყლის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, შავი ზღვის დონის აწევა, წყალდიდობების, წყალმოვარდნების, მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა. სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით მოწყვლადია კლიმატური პარამეტრების ცვლილების მიმართ.

კლიმატის ცვლილებებზე დაკვირვება საქართველოში XX საუკუნის შუიდან დაიწყო, მაგრამ ეს ძირითადად სამეცნიერო კვლევების ფარგლებში ხდებოდა, რომლებიც მთლიანად მაშინდელი სსრკ-ს მასშტაბით ტარდებოდა. ამასთან ერთად, ამ კვლევების შედეგები ფართოდ არ ჟღერდებოდა და ხშირად გასაიდუმლოებულიც იყო. ამასთან ერთად, გადაწყვეტილებებს იმ პერიოდში ცენტრალიზებულად იღებდნენ და, ასევე, ცენტრალიზებულად ხდებოდა მათი განხორციელება, მოსახლეობასთან შეთანხმების გარეშე. ამიტომ, მათთვის აღნიშნული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც ნაკლებად ხდებოდა და, შესაბამისად, ინფორმირებულობაც ნაკლებად იყო.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი, სამოქალაქო ომთან და ღრმა ეკონომიკურ კრიზისთან იყო დაკავშირებული, როდესაც როგორც მოსახლეობის, ასევე მთავრობის და სამეცნიერო წრეების ყურადღება სხვა, იმ პერიოდისათვის უფრო აქტუალური, პრობლემების გადაწყვეტაზე იყო მიმართული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 90-იან წლებში, როდესაც ქვეყანა სამოქალაქო ომის შემდგომ დამდგარი კრიზისიდან გამოსული ჯერ კიდევ არ იყო, ქვეყანამ გლობალური ტენდენციების გაზიარება დაიწყო. კერძოდ, საქართველო გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის (1994), კიოტოს ოქმის (1997) და შემდგომ უკვე პარიზის შეთანხმების (2015) მხარე სახელმწიფო გახდა. შესაბამისად, ქვეყანამ ვალდებულებები იტვირთა, რომლის ფარგლებშიც ითვალისწინებს




Project funded by
EUROPEAN UNION



საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ პრინციპებს და ვალდებულება განახორციელოს ნაკისრი ვალდებულებები ეროვნულ დონეზე.

აქედან გამომდინარე, შემდგომში დაგეგმვად, კვლავ აღდგა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, პროგნოზების შედგენა და ქვეყნის განვითარების საკითხებში ამ საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინება.

კლიმატის ცვლილებაზე მოქმედებს, როგორც ბუნებრივი, ასევე ანთროპოგენური ფაქტორები. ადამიანის საქმიანობის შედეგები აისახება ძირითადი აირების კონცენტრაციის მატებით (CO_2 , CH_4 , N_2O), რომლებიც იწვევს სათბურის ეფექტის გაძლიერებას და შედეგად კლიმატის ცვლილებას. 2013-2018 წლების მონაცემებით, ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ინტენსივობა შემდეგი იყო:



დიაგრამა #2.2.1. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


საქართველოს სათბურის აირების ჯამური ემისიები 2015 წელს შეადგენდა დაახლოებით 17,589,000 ტონა CO_2 -ის ექვივალენტს, რომელშიც სოფლის მეურნეობის სექტორის წილი 18%-ია. 2010-2015 წლების განმავლობაში სათბურის აირების ემისიების საშუალო წლიური მატება 6.3%-ია.



Project funded by
EUROPEAN UNION



სათბურის გაზების ემისიები, მეგატონა/წელი




გრაფიკი # 2.2.1. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2015 წელს მსოფლიო ემისიები დაახლოებით 49 მლრდ ტონა CO₂-ის ეკვივალენტს შეადგენდა და საქართველოს წილი მასში - 0.04% გახლდათ. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2010-2015 წლის პერიოდისთვის გლობალური ემისიების ზრდის ტემპი საშუალოდ 2%-ს შეადგენდა, რაც საქართველოს ემისიების ზრდის ტემპზე 3-ჯერ ნაკლებია. საქართველოს ემისიების უფრო მაღალ ტემპს ამ პერიოდში ის განაპირობებდა, რომ ზუსტად ამ პერიოდისათვის ქვეყანაში სამოქალაქო ომით გამოწვეული ხანგრძლივი სოციო-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის აღდგენის პროცესები დაიწყო.

55 წლის განმავლობაში (1961-2015) საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე აღინიშნებოდა საშუალო წლიური ტემპერატურის მატების ტენდენცია. გასული 100 წლის განმავლობაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მატებამ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონში 0.7⁰ C-ს, აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში კი 0.6⁰ C-ს მიაღწია. მომავლის პროგნოზით 2021-2050 წლისთვის მოსალოდნელია ტემპერატურის მაქსიმალური ნაზრდი 2.1⁰ C-ით (საჩხერე), ხოლო 2071-2100 წლისთვის - 4.2⁰ C-ით (ბათუმი). საშუალო ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილება 2071-2100 წლებისთვის მოცემულია რუკაზე:



Project funded by EUROPEAN UNION




სურ. #2.2.1.

ნალექების წლიურმა ჯამმა ორ პერიოდს შორის (1966-1990, 1991-2015) აჩვენა, რომ დასავლეთ საქართველოში ნალექების მატებაა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - კლება. ყველაზე მეტად ნალექების წლიურმა ჯამმა სვანეთის დაბლობის ზონებსა და აჭარის მთიანეთში მოიმატა (14% -მდე). დასავლეთ საქართველოში ნალექების მატების ტენდენცია გაგრძელდება 2050 წლამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კლება ზრდით შეიცვლება და მოსალოდნელია ნალექების მატება საშუალოდ 3.4%-ით. 2021-2050 წლებში ნალექების ცვლილება მოცემულია რუკაზე:



Project funded by EUROPEAN UNION




სურ. #2.2.2

2100 წლისთვის მოსალოდნელია ნალექების მნიშვნელოვანი კლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ყველაზე მეტად სამეგრელოში, ქვემო ქართლსა და კახეთში (22%). ჰაერის ფარდობითმა ტენიანობამ ორ პერიოდს (1966-1990, 1991-2015) შორის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოიმატა 2%-ით, თუმცა ეს ტენდენცია არ შენარჩუნდება და მოსალოდნელია შემცირება 2050-2100 წლებისთვის. ქარის საშუალო სიჩქარე პერიოდებს შორის წლიური საშუალოს 1.6მ/წმ-დან შემცირდა 1.3 მ/წმ-მდე. ქარის საშუალო სიჩქარის კლების ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც, 2100 წლის ბოლომდე. ყინვიანი დღეების რაოდენობის შემცირება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე აღინიშნება (1991-2015), მომავლის პროგნოზით საუკუნის ბოლოსთვის ძირითადად მხოლოდ მთიანი ტერიტორიებისთვის იქნება დამახასიათებელი. ყინვიანი დღეების მოსალოდნელი ცვლილება 2071-2100 წლებისთვის მოცემულია რუკაზე:



Project funded by EUROPEAN UNION



სურ. #2.2.3..

2014-2017 წლებში საქართველოში კლიმატის ცვლილების შესაფასებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა ჩატარდა. პროექტის „კლიმატის ცვლილების ეროვნული საადაპტაციო გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის“ ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით შეფასდა კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე. გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: სასოფლო-სამეურნეო ზონების შეცვლა, პროდუქტიულობის შემცირება სოფლის მეურნეობის სექტორში, სასოფლო-სამეურნეო მიწების კლება და მორწყავდი მიწების შემცირება. ამ ფაქტორებმა შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სექტორის პროდუქტიულობა საგრძნობლად შეამციროს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, აქტიურ ტემპერატურათა ჯამით უზრუნველყოფის მიხედვით, აგრო-კლიმატური ზონები დაიყო სამ ნაწილად: A (<1000°C), B (<1000°C-3900°C) და C (>3900°C). ცხრილში მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე აგრო-კლიმატური ზონების ფართობების ცვლილება 1966-1990 წლების, 1991-2015 წლებისა და 2071-2100 წლების პერიოდებისათვის.



Project funded by
EUROPEAN UNION



ცხრილი 2.2.1 ცვლილებები აგროკლიმატური ზონების ფართობებში (კმ²)

ცვლილებები აგროკლიმატური ზონების ფართობებში (კმ²)


1966-1990 წლები			
	500-1000 ⁰ (A)	1000-3900 ⁰ (B)	>3900-5000 ⁰ (C)
ტენიანი >900 მმ (3)		4741	4448
ზომიერად ტენიანი 500-900 მმ (2)	12636	35502	3752
მშრალი < 500 მმ (1)		1356	6772
1991-2015 წლები			
ტენიანი >900 მმ (3)		3336	5816
ზომიერად ტენიანი 500-900 მმ (2)	11012	35639	5034
მშრალი < 500 მმ (1)		881	7240
2071-2010 წლები			
ტენიანი >900 მმ (3)			1910
ზომიერად ტენიანი 500-900 მმ (2)	3868	30316	10268
მშრალი < 500 მმ (1)		9693	13097

წყარო: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკი სოფლის მეურნეობის სექტორისთვის არის აგრო კლიმატური ზონების ცვლილება ტემპერატურის მატებისა და ნალექების ცვლილების ფონზე. სოფლის მეურნეობაში მოსავლის რაოდენობა სხვადასხვა ფაქტორებზე არის დამოკიდებული, მათ შორისაა: ქარის სიჩქარე, ნალექების რაოდენობა და მათი განაწილება, სითბური ტალღების სიხშირე და ხანგრძლივობა, წყალზე ხელმისაწვდომობა და ევაპოტრანსპირაციის ტემპი. კლიმატის ცვლილებასთან ერთად, იცვლება მოცემული ფაქტორები, რაც თავისთავად წარმოშობს რისკებს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისათვის. საქართველოში მოსალოდნელია სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირება, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების გამო (მეწყერი, ღვარცოფი და ა.შ.). ნახაზზე მოცემულია სხვადასხვა წლებში სტიქიური გეოლოგიური პროცესებით დაზიანებული და სამიშროების რისკის ზონაში მოქცეული საქართველოს ტერიტორია



Project funded by
EUROPEAN UNION



დიაგრამა 2.2.2 წყარო: გარემოსდაცვითი მართვა და გადაწყვეტილებები

შესაძლებელია ზემოაღნიშნულმა ბუნებრივმა კატასტროფებმა გააქტიუროს მიწის ეროზიული პროცესები, შესაბამისად ეს პირდაპირ აისახება სოფლის მეურნეობის სექტორის პროდუქტიულობაზე.

შემაჯამებელი დასკვნები:

საქართველოში კლიმატის ცვლილების უმთავრესი გამოწვევებია:

- სათბური აირების გაფრქვევის შემცირება;
- კლიმატის ცვლილების შერბილება; და
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მდგრადი განვითარება.

კლიმატის ცვლილების გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნულ პოლიტიკასთან ერთად მნიშვნელოვანია საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები. საქართველო, როგორც გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის, კიოტოს ოქმის და პარიზის შეთანხმების მხარე სახელმწიფო, ვალდებულია გაითვალისწინოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული პრინციპები და განახორციელოს ეროვნულ დონეზე ნაკისრი ვალდებულებები. საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ეროვნულ დონეზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოება მჭიდროდ უკავშირდება კლიმატის ცვლილებას, შესაბამისად სოფლის მეურნეობის მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის/გამოყენების/გაზიარების ხელშეწყობა. ამჟამად, მომზადებულია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისათვის, რომლის ძირითადი მიმართულებებია: კლიმატის ცვლილების გავლენა ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის, მანდარინის, თხილის წარმოებაზე და საადაპტაციო ღონისძიებები. ასევე კლიმატის ცვლილების გავლენა საძოვრებსა და მეცხოველეობაზე და მათი საადაპტაციო ღონისძიებები.



Project funded by
EUROPEAN UNION



2.3 საქართველოში კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის SWOT ანალიზი

S	W
<ul style="list-style-type: none"> • საქართველო არის თემატური საერთაშორისო კონვენციების მხარე; • საქართველოში დაწყებულია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა; • სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას და სოფლის მეურნეობაში ჩართულ ორგანიზაციებს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ დიდი ინტერესი გააჩნიათ. 	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობაში და დაინტერესებულ პირებში ინფორმაციის ნაკლებობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ; • სოფლის მეურნეობაში დაკავებულ პირთა ინვესტირების დაბალი შესაძლებლობები; • ქვეყნის სტრატეგიული გეგმის არარსებობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის; • კადრების დეფიციტი; • ფინანსური დეფიციტი.
O	T
<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფოსა და დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები შეიძლება გამოყენებული იყოს კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დასანერგად; • სოფლის მეურნეობის სუსტი განვითარება მოტივაციას იძლევა კლიმატგონივრული მოდელების დანერგვისა და შემოსავლების ზრდისათვის; • მომხმარებელთა მოთხოვნა ხარისხიან პროდუქტზე შესაძლებლობას იძლევა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზრის ჩამოყალიბებისათვის. 	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატის ცვლილების არასახარბიელო პროგნოზი საქართველოსთვის; • კლიმატის ცვლილებების გამო, მოსალოდნელი უარყოფითი გავლენები სოფლის მეურნეობის დარგის შემოსავლებზე; • კლიმატური ზონების ცვლილება და აგრარული ბიომრავალფეროვნების შემცირება საქართველოში; • წყლის დეფიციტის გამწვავება; • ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება.



Project funded by
EUROPEAN UNION



3. კვლევის მეთოდოლოგია

პოტენციური ბარიერების და წინააღმდეგობების შეფასების მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო როგორც პირველადი, ასევე მეორადი ინფორმაციის წყაროები.

პირველად ინფორმაციის წყაროდ გამოყენებული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა, რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად დაიყო:

1. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის გამოკითხვა;
2. სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი ორგანიზაციების გამოკითხვა.

მოსახლეობის გამოკითხვა განხორციელდა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით წინასწარ შეთანხმებული კითხვარის გამოყენებით. რესპოდენტები შეირჩნენ, მათი თანაბარი რაოდენობრივი განაწილების პრინციპით, საქართველოს 11 რეგიონიდან. საწყის სიად გამოყენებული იყო „ელკანას“ მონაცემთა ბაზა, რომლის მიხედვითაც პოტენციური რესპოდენტები რეგიონების მიხედვით შეირჩნენ, რის შემდეგაც ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუები.

სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი ორგანიზაციების გამოკითხვასევე წინასწარ მომზადებული კითხვარის გამოყენებით ჩატარდა. კითხვარში გამოყენებული იყო როგორც დახურული, ასევე ნახევრად ღია კითხვები. რესპოდენტთა ნაწილს კითხვარები, წინასწარ განხორციელებული სატელეფონო ზარის შემგომ, გაეგზავნათ ელ-ფოსტაზე, ხოლო ნაწილს გამოკითხვა ჩაუტარდათ ტელეფონით. გამოკითხულ რესპოდენტთა შორის იყვნენ როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელი კომპანიები და მეწარმეები, ასევე სასოფლო-სამეურნეო დარგის და სოფლის განვითარების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები.

რესპოდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული კითხვარების დამუშავება განხორციელდა Excel-ის პროგრამაში, რის შემდეგაც ანალიზი გაუკეთდა მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებს.

3.1 ინფორმაციის წყარო

I მოსახლეობის და ფერმერების გამოკითხვა

ზოგადი ინფორმაცია რესპოდენტთა შესახებ

რესპოდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით:

გამოკითხულთა ასაკი 19-დან 65 წლამდეა.




Project funded by EUROPEAN UNION



თქვენი ასაკი


105 responses



დიაგრამა #3.1.1

რესპოდენტთა განაწილება საცხოვრებელი არეალის მიხედვით

რესპოდენტები შეირჩნენ მთელი საქართველოს მასშტაბით. მათი განაწილება შემდეგია:



დიაგრამა 3.1.2.

რესპოდენტთა განათლება:

გამოკითხულ რესპოდენტთა შორის (და ეს ტიპურია საქართველოსთვის), უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა უმრავლესობას წარმოადგენს (85.7%). ამასთან ერთად, სპეციალური ტექნიკური განათლება მხოლოდ 7.6%-ს გააჩნია.




Project funded by EUROPEAN UNION



განათლება

105 responses




დიაგრამა # 3.1.3 გამოკითხვის შედეგები

რესპოდენტთა ინფორმირებულობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის შესახებ:

რესპოდენტთა გამოკითხვამ დააფიქსირა ის ფაქტი, რომ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია სულ 11.54%-ს გააჩნია, ხოლო კარგად ინფორმირებული სულ 2.88%-ია. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედ პირთა შორის 85.7% - უმაღლესი განათლებით არის, ეს მაჩვენებელი მიგვითითებს იმაზე, რომ მიუხედავად ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებებში და კონვენციებში წევრობისა, ქვეყანაში ნაკლები ყურადღება ექცევა მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას კლიმატის ცვლილებების საშიშროებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

გსმენიათ თუ არა კლიმატ გონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ?



■ იცი ■ არ სმენია ■ გარკვეულ წილად გაუგია

დიაგრამა 3.1.4


კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მნიშვნელობა საქართველოში.



Project funded by
EUROPEAN UNION



გაეროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის განმარტებით, კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის მიზანია კლიმატის ცვლილე...ფლის მეურნეობის მხარდაჭერა საქართველოში?
105 responses



დიაგრამა 3.1.5.


როგორც ვხედავთ, რესპოდენტთა 99%, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობის განწყობა და დამოკიდებულება ასეთი აქტივობის განხორციელების მიმართ დადებითია. აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგადად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფციის შესახებ დაბალი ცნობადობის ფონზე, ეს დადებითი შედეგი უფრო პასიური მხარდაჭერის მზაობაზე მიგვითითებს, ვიდრე მოსახლეობის აღნიშნულ საქმიანობაში ჩართულობის სურვილზე.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის სარგებელი.

პასუხი იმ კითხვაზე, თუ რას თვლიან რესპოდენტები კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის სარგებლად, ერთის მხრივ ნათლად გამოხატავს მოსახლეობის ინფორმირებულობის სფეროებს და მასიური კომუნიკაციის საშუალებების დახმარებით

თქვენი აზრით, რა იქნება კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის მთავარი სარგებელი?
(შეიძლება ერთზე მეტი პასუხის არჩევა)

105 responses



დიაგრამა 3.1.6

Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION



შექმნილ საზოგადოებრივ აზრს, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ინფორმირებულობიდან გამომდინარე, მოსახლეობის დამოკიდებულებას იმ საშიშროებების მიმართ, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული.

როგორც გამოკითხვიდან ირკვევა, მოსახლეობისთვის უფრო მეტად პრიორიტეტულია:

1. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება - 61.9%. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ რესპოდენტთა უმრავლესობას სოფლის მოსახლეობა წარმოადგენს, რომელიც თვლის, რომ სოფლად ის შედარებით ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრობს;
2. ჯანსაღი პროდუქტის მიღება - 41.9% იმის ფონზე, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა თავად არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში ჩართული;
3. ფერმერების შემოსავლების ზრდა - 37.1%. ეს ბუნებრივია, ვინაიდან რესპოდენტთა დიდი ნაწილი თვითონ აწარმოებს პროდუქტს;
4. აგრარული ბიომრავალფეროვნება - 30.5%. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გლობალური ბაზრის პირობებში ფერმერთა ინფორმირებულობის დონე აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ მნიშვნელოვნად გაიზარდა;


აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისეთი მნიშვნელოვანი და გლობალური საკითხები, როგორებიცაა სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საბოლოო მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა, იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება, ახალგაზრდებისათვის სოფლის მეურნეობის დარგის მიმზიდველობის გაზრდა და რეგიონის განვითარების ხელშეწყობა რესპოდენტებისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. ამის მიზეზად შეგვიძლია ვივარაუდოთ ის, რომ ერთის მხრივ სოფლის მეურნეობის სექტორში დაკავებულ მცირე ფერმერთა უმრავლესობის ეკონომიკური სიდუხჭირე ამ ეტაპზე მათ არ აძლევს შესაძლებლობას უფრო ფართო მასშტაბის საკითხებზე იფიქრონ და ამ საკითხებს სხვას ანდობენ გადასაწყვეტად, ხოლო მეორეს მხრივ წერტილოვანი ინფორმირებულობა არ აძლევთ მათ შესაძლებლობას ერთიანი სურათის დანახვისათვის და გლობალური ანალიზის გაკეთებისათვის.

დასმულ კითხვაზე მიღებული პასუხების შედეგი შესაძლებელია გამოვიყენოთ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დანერგვის ეფექტური სტრატეგიის შესამუშავებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადებითი პასუხის მაჩვენებელი იმის სურვილის შესახებ, რომ მათ რეგიონში მხარი დაეჭიროს კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობას (ცალსახად მხარი დაუჭირა რესპოდენტთა 79%, ხოლო დადებითი დამოკიდებულება 99%-მა გამოხატა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტების გამოკითხვა ბოლომდე ვერ იძლევა ნათელ პასუხს იმაზე, თუ რამდენად არიან მზად ისინი ასეთი ცვლილებებისათვის და ამ საქმიანობაში ჩართულობისათვის. მათი პასუხი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ცალსახად არ იქნებიან წინააღმდეგები ასეთი ინიციატივის.



Project funded by
EUROPEAN UNION




დიაგრამა 3.1.7

კლიმატგონივრული პროდუქტების ნიშანდობა.

ფიქრობთ თუ არა, რომ კლიმატ-გონივრულ სოფლის მეურნეობის პროდუქტს უნდა გააჩნდეს ნიშანდობა (მაგალითად, ბრენდი ან ეტიკეტირება), რითაც გამოირჩევა ბაზარზე?

105 responses



დიაგრამა 3.1.8

კლიმატგონივრული პროდუქტების ნიშანდობის მომხრე რესპოდენტთა 95.2 % იყო.

ანალოგიური შედეგი დაფიქსირდა შემდეგ კითხვაზეც სადაც რესპოდენტთა უმრავლესობამ (96.2%) უპირატესობა მიანიჭა კლიმატგონივრული ნიშანდობით გამორჩეული პროდუქტის შექმნას.




Project funded by
EUROPEAN UNION



ამჯობინებდით თუ არა კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის წიშანდებული პროდუქტის შექმნას სხვა პროდუქტებთან შედარებით?


105 responses



დიაგრამა 3.1.9

გადაიხდით თუ არა უფრო მეტს კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის პროდუქტში?

105 responses



დიაგრამა 3.9.10

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შექმნის მოტივაცია

ყურადსაღებია რესპოდენტთა სამომხმარებლო დამოკიდებულება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პროდუქტების სამომხმარებლო ხარისხის მიმართ, რომელიც დაფიქსირდა გამოკითხვის შედეგად

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შექმნის ძირითად მოტივს ქართველი მომხმარებლისთვის წარმოადგენს:

- თავად პროდუქტის სიჯანსაღე (70.5%);

Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION




• პროდუქტის ეკოლოგიური სისუფთავე (59%);
ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს:

- ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა (36.2%) და
- ხელმისაწვდომობა (სიახვე) (33.3%).

დიაგრამა 3.1.11.

რა იქნებოდა თქვენი ძირითადი მოტივაცია კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის
ნიშანდებული პროდუქტის შექმნისას? (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხი)
105 responses



ბოლო ფაქტორი (ხელმისაწვდომობა/სიახვე) იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობას ჯერ არ აქვს სიღრმისეულად გათვითცნობიერებული კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის არსი და ამასთან დაკავშირებული დანახარჯები და ამ ეტაპზე უფრო ემოციურ/სურვილებს დონეზე აკეთებს დასკვნებს.

ინტერესი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიმართ



Project funded by
EUROPEAN UNION



რესპოდენტთა მიერ ცალსახად დაფიქსირდა მაღალი ინტერესი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიმართ და 93.3%-მა განაცხადა, რომ სურს მეტი გაიგოს აღნიშნული კონცეფციის შესახებ.

მოსახლეობის და ფერმერების ინდივიდუალური გამოკითხვის შედეგების შეჯამება:

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული მოსახლეობის ინდივიდუალური გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართალია, მოსახლეობის უმრავლესობისათვის არ არის ცნობილი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფცია, ის მას ლოგიკურად აკავშირებს გარემოს დაცვით გლობალურ პროცესებთან და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებასთან.


ამავდროულად, კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერასთან მოსახლეობა გარკვეულ სამეურნეო და სამომხმარებლო იმედებსაც ამყარებს, კერძოდ კი სამეურნეო კუთხით - ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო სამომხმარებლო კუთხით - ჯანმრთელი პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

შესაბამისად, მოსახლეობაში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ დადებითი დამოკიდებულებაა, ხოლო ამ მიდგომების დანერგვის კონცეფცია უნდა მოიცავდეს შედეგ გზავნილებს:

- ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნება;
- ჯანსაღი პროდუქტებით უზრუნველყოფა;
- ფერმერთა მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მომხმარებელთა პროდუქტის შესახებ უტყუარი ინფორმაციით უზრუნველყოფა და

ხართ დაინტერესებული კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობით და გსურთ მიიღოთ მის შესახებ მეტი ინფორმაცია?

105 responses



პროდუქტის ხარისხის გარანტიების შექმნა.

დიაგრამა 3.1.12



Project funded by
EUROPEAN UNION




II დარგში მოქმედი ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგები

კვლევის ფარგლებში ცალკე მომზადებული კითხვარის მიხედვით განხორციელდა დარგში მოქმედი ორგანიზაციების გამოკითხვა. ორგანიზაციებს შორის იყვნენ როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლები, ასევე დარგის და რეგიონალური განვითარების ორგანიზაციებიც, საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები.

ზოგადი ინფორმაცია რესპოდენტთა შესახებ:

გამოკითხულ ორგანიზაციების განაწილება სტატუსის მიხედვით.



დიაგრამა 3.1.13


გამოკითხულთა 84%-ს უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლები წარმოადგენდნენ, ხოლო 16%-ს სოფლის მეურნეობის დარგის ხელშემწყობი ორგანიზაციები.

უშუალოდ რესპოდენტებად გამოდიოდნენ ზედა და / ან შუალედური მენეჯმენტის რგოლის წარმომადგენლები.

კითხვაზე - გსმენიათ თუ არა ტერმინი „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის“ და მისი მიზნების შესახებ?, რესპოდენტებმა შემდეგი პასუხები გასცეს:



Project funded by
EUROPEAN UNION



დიაგრამა 3.1.14

როგორც დაფიქსირდა, რესპოდენტთა უმრავლესობა - 76%, მცირედ ინფორმირებულია, ან საერთოდ არ იცის კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ და მხოლოდ 24%-ს გააჩნდა ინფორმაცია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ. საყურადღებოა, რომ ინფორმაცია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ გააჩნდათ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, როდესაც უშუალოდ სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს ან არ გააჩნდათ, ან კიდევ ინტერვიუს პერიოდში შეექმნათ გარკვეული წარმოდგენა მის შესახებ.


პესიმისტური გახლდათ პასუხი კითხვაზე - არის თუ არა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა განვითარებული თქვენს ქვეყანაში? ამ კითხვაზე, რესპოდენტთა 100%-მა გასცა უარყოფითი პასუხი და დაადასტურა, რომ ქვეყანაში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა არ არის განვითარებული.

ასევე უარყოფითი პასუხი იყო კითხვაზე ფიქრობთ, რომ სხვადასხვა მხარეები (ფერმერები, ხელისუფლება, მომხმარებლები, საზოგადოება) ინფორმირებულია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ? ამ შემთხვევაშიც უარყოფითი პასუხი გასცა რესპოდენტთა 100%-მა.

კითხვაზე თუ როგორ აღწერთ კლიმატგონივრულ პოლიტიკას თქვენს ქვეყანაში, მიღებული იყო შემდეგი პასუხები:




Project funded by EUROPEAN UNION



დიაგრამა 3.1.14

გარკვეული ინფორმაციის არსებობა დააფიქსირა რესპოდენტთა მხოლოდ 12%-მა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ან მალიან სუსტია სახელმწიფო პოლიტიკა, ან მხოლოდ ახლა იწყება სტრატეგიაზე მუშაობა, ან ფორმალურია მიდგომა. რესპოდენტთა უმრავლესობამ (88%) დააფიქსირა, რომ მათ საერთოდ არ გააჩნიათ ინფორმაცია ამ მიმართულებით ქვეყნის პოლიტიკის შესახებ.



დიაგრამა 3.1.15

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა რესპოდენტის მიერ დაფიქსირებული იყო, რომ ამ ეტაპისათვის ქვეყანაში კლიმატონივრული სოფლის მეურნეობის პოლიტიკა ან არ




Project funded by
EUROPEAN UNION



მოქმედებს, ან ჩანასახის სტადიაზეა. რაც შეეხება ამ პოლიტიკის თანმდევ დოკუმენტალურ ბაზას, რესპოდენტთა მხოლოდ 1.2% -მა გამოეხატა თავისი აზრი ამ საკითხზე და დააფიქსირა, რომ ძირითადად აღნიშნული კონცეფცია ფიგურირებს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში, მაგრამ მას მხოლოდ სტრატეგიული მიზნების ხასიათი აქვს და არ არის განმტკიცებული სამოქმედო გეგმით და ბიუჯეტით. გამოკითხულთა ნაწილის განცხადებით, მათ ახსოვთ, რომ 2016 წელს ჩატარდა ექსპერტთა კვლევა და შედგა **Green Growth Policy Paper (GIZ)**, რომელიც ფართოდ გაშუქდა სასოფლო-სამეურნეო და სოფლის განვითარების სფეროებში მოღვაწე ორგანიზაციებსა და კომპანიებს შორის.

რესპოდენტების უმრავლესობის მიერ კითხვაზე თვლით, რომ კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობას სჭირდება უკეთესი განმარტება / კონცეფციის ჩამოყალიბება, რესპოდენტთა 96%-მა დააფიქსირა დადებითი პასუხი



დიაგრამა


3.1.16

კითხვაზე თვლით, რომ ხელისუფლებამ უფრო მეტად უნდა წახალისოს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პოპულარობის ზრდა ფერმერებსა და მომხმარებლებში, რესპოდენტთა 100%-მა გასცა დადებითი პასუხი.

კითხვაზე, თუ როგო ხედავენ ისინი ქვეყანაში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად სარგებელს და რაში ხედავენ ძირითად ხარჯებს/ გამოწვევებს, გამოკითხულთა უმრავლესობა განსხვავებული მოსაზრებები დააფიქსირეს.



Project funded by
EUROPEAN UNION




დიაგრამა 3.1.17

როგორც ვხედავთ, უპირველესად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დადებითი გავლენის იმედი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო სექტორის კეთილდღეობასთან და შემოსავლების ზრდასთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე რიგში გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილების გავლენის შემცირება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დივერსიფიკაცია დასახელდა. რესურსების მდგრად გამოყენებას რესპოდენტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპოდენტთა მიერ, ძირითად გამოწვევებად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დასახელდა შედეგი ფაქტორები:



Project funded by
EUROPEAN UNION



დიგრამა 3.1.18

ძირითად პრობლემას გამოკითხულები მოსახლეობის დაბალ ცნობიერებაში და ფინანსების ნაკლებობაში ხედავენ. ამავდროულად, მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკაში დანერგვას და კვალიფიციური კადრების ნაკლებობასაც ასახლებს. ამასთან ერთად, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის დარწმუნება და კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობაში ჩართვა ბოლო ადგილზეა, რაც მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული ორგანიზაციები მეტ მნიშვნელობას თავად სექტორში მონაწილე ორგანიზაციებზე და პირებზე ამახვილებენ, ხოლო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ.


კლიმატგონივრული ალიანსის ჩამოყალიბების მომხრეებს შორის, რესპოდენტთა 94 % იყო, ხოლო 6%-მა ვერ გასცა პასუხი ამ კითხვაზე.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნიშანდების მომხრეთა შორის - რესპოდენტთა 84% იყო, ხოლო 16%-მა თავი შეიკავა პასუხისაგან.

რესპოდენტებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ ქვეყანაში ნაკლები ყურადღება ექცევა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ როგორც ინფორმაციის გავრცელებას, ასევე მის დანერგვას:




Project funded by EUROPEAN UNION



დიაგრამა 3.1.19

თუმცა, სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით მათი მოლოდინები უფრო ოპტიმისტურია:



დიაგრამა 3.1.20

აღსანიშნავია, რომ სამომავლო პერსპექტივებზე აზრის დაფიქსირებისგან რესპოდენტების 46%-მა შეიკავა თავი.




სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროებში მოქმედი ორგანიზაციების გამოკითხვის შეჯამება.



Project funded by
EUROPEAN UNION



ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროებში მოქმედი ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია ცალსახად დავასკვნათ, რომ საქართველოში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმირებულობის დონე დამოკიდებულია დარგში მოქმედ რესპოდენტთა კატეგორიაზე და ამ კატეგორიებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.



დიაგრამები 3.1.21 - 3.1.23

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმირებულობით გამოირჩევა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მენეჯმენტის რგოლი, ხოლო როგორც მოსახლეობას, ასევე სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედ ფერმერებს და კომპანიებს მასზე ინფორმაცია ან საერთოდ არ გააჩნია, ან მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვს. ქვეყნის პოლიტიკა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კუთხით მიჩნეულია სუსტად და ფორმალურად, ხოლო ინფორმირებულობა კონკრეტული დოკუმენტების შესახებ, რომლებიც მიმართულია ამ მიდგომების დანერგვაზე ქვეყანაში, შემოიფარგლება დონორი ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსებული კვლევების ან სტრატეგიული დოკუმენტების შედგენის პრეზენტაციებზე გაჟღერებული ინფორმაციით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ აღნიშნული ფაქტი ან ცალსახად უარყოფილია, ან კიდევ დატოვებულია კომენტარის გარეშე. მათი უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფო ჯეროვან ყურადღებას აქცევს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის საკითხებს და საკმარისად მიაჩნიათ ის, რომ სტრატეგიულ დოკუმენტებში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები შეტანილია. ამასთან ერთად, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება, გარდაუვლად არის მიჩნეული და აღიარებულია, რომ ქვეყანას ამისი რესურსი და პოტენციალი გააჩნია.

აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ძირითად გამოწვევებად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიდგომების დანერგვისათვის აღიარებულია:

პოლიტიკის დონეზე:

- არ ხორციელდება და არ არის გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანია მოსახლეობისათვის კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის არსის განმარტებისათვის;

Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION



- სახელმწიფო პოლიტიკა ატარებს ფორმალურ ხასიათს და არ არის განმტკიცებული შესაბამისი სამოქმედო გეგმით;
- სახელმწიფო პოლიტიკა ჯერჯერობით არ ითვალისწინებს კადრების გადამზადებას კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

მოსახლეობის ცნობიერების დონეზე:

- მეწარმე სუბიექტების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ინფორმაცია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ;
- ზოგადად მოსახლეობას - თითქმის არ გააჩნია ინფორმაცია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ..

ფინანსების დონეზე:

- სახელმწიფო სტრატეგია არ მოიცავს სამოქმედო გეგმას და ბიუჯეტს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფციის დანერგვისათვის.

3.2 კონტექსტი

სამაგიდო კვლევა არსებულ სტრატეგიებზე, საკანონმდებლო დოკუმენტებზე, აკადემიურ ლიტერატურაზე, სტატისტიკურ კვლევებზე და სხვა.

საქართველო არის სხვადასხვა საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციის მხარე. მათ შორის აღსანიშნავია:

- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია;
- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ; და
- გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ.

აღნიშნული კონვენციების ფარგლებში საქართველოში შედგენილი იქნა შემდეგი საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ (12.05.1994);
- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (10.12.1996);
- საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ (25.12.1996);
- საქართველოს კანონი წყლის შესახებ (16.10.1997);
- საქართველოს კანონი პესტიციდების და აგრო-ქიმიკატების შესახებ (25.11.1998);
- საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (22.06.1999);
- საქართველოს ტყის კოდექსი (22.06.1999);
- საქართველოს კანონი ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ (08.05.2003);
- საქართველოს „წითელი ნუსხა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ (06.06.2003);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #242 ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ (20.08.2010);
- საქართველოს კანონი ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ (15.12.2010);

Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION



- საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველების საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი (08.05.2012);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #198 ბიოწარმოების შესახებ (20.07.2013);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #17 გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე (03.01.2014);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #145 „თესლისა და სარგავი მასალის საქართველოში გავრცელების დამატებითი პირობების“ დამტკიცების შესახებ (13.02.2014);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #190 საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი (26.12.2014);
- საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასებითი კოდექსი (01.06.2017);
- საქართველოს კანონი სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ (01.06.2017);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #383 ტექნიკური რეგლამენტი - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების ხარისხის დამტკიცების შესახებ (27.07.2018).
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 - 2027 და
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა
- კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის (2017)

ეს ის ძირითადი მნიშვნელოვანი დოკუმენტებია, რომლებშიც ასახულია კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის ღონისძიებები სოფლის მეურნეობის სექტორში გასატარებლად.

3.3 სირთულეები კვლევის დროს

კვლევის ჩატარების პერიოდი დაემთხვა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს როგორც გადაადგილების, ასევე რესპოდენტებთან შეხვედრების გამართვის და თავშეყრის მოწყობის კუთხით. ამასთან ერთად, მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის ადაპტირებული ონლაინ შეხვედრების და გამოკითხვების ჩატარებისათვის, რაც ართულებს სანდო ინფორმაციის მოძიებას და მეტ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს ინტერვიუებისგან.

ამასთან ერთად, შემაფერხებელ ფაქტორს ასევე წარმოადგენდა ის, რომ რესპოდენტთა უმრავლესობას არ გააჩნია ინფორმაცია ტერმინი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ, რაც გარკვეულ დროს მოითხოვდა იმისათვის, რომ ინტერვიუერს ამ ტერმინის განმარტება და ზოგადი შინაარსი წარედგინა რესპოდენტისათვის.



Project funded by
EUROPEAN UNION



4. ორგანული სოფლის მეურნეობა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკები საქართველოში

4.1 პირობები მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებისა და ორგანიზაციების ექსპერტთა აზრით, საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგური პირობები ხელს უწყობს კლიმატკონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებას ქვეყანაში და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული უარყოფითი გავლენების შემცირებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობაზე. განსაკუთრებით აქტუალური გახდა აღნიშნული მიდგომების დანერგვა ბოლო პერიოდის განმავლობაში, როდესაც თავისუფალი ვაჭრობის პირობებში აშკარა გახდა ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დაბალი კონკურენტუნარიანობა იმპორტირებულ პროდუქტთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას უკეთესი პირობები გააჩნია მათი წარმოებისათვის.

ამასთან ერთად, ექსპერტთა აზრით, საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა შესაძლებელია გამოყენებული იყოს ასევე კლიმატკონივრული სოფლის მეურნეობის მიდგომების პოპულარიზაციისა და დანერგვისათვის იმ თვალსაზრისით, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია მიღწეული იყოს სწრაფი დადებითი ეკონომიკური შედეგები სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელთა მეურნეობებში. დადებითი შედეგები შესაძლებელია მიღწეული იყოს როგორც პროდუქტიულობის გაზრდით, ასევე წარმოებისათვის ახალი ან იშვიათი/აბორიგენული კულტურების წარმოებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფ და მაღალ ეკონომიკურ შედეგებს. აქვე აღსანიშნავია ის, რომ ტურიზმის განვითარებამ საქართველოში დიდი გავლენა იქონია როგორც ადგილობრივი პროდუქტების ბაზრის ჩამოყალიბებაზე, რომლებიც, როგორც წესი, იმპორტირებულზე უფრო ძვირად იყიდება, ასევე მაღალი ხარისხის ადგილობრივ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდაზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ მიმართულებას საქართველოს კლიმატკონივრულ სოფლის მეურნეობის განვითარებაში ბიოპროდუქტების წარმოება წარმოადგენს.

ბიოწარმოების მონაცემები ეყრდნობა ბიოსერტიფიცირების ორგანოს (შპს „კავკასსერტის“) 2020 წლის მონაცემებს.

- საქართველოში ბიოწარმოების ქვეშ - 2,220 ჰა მიწის ფართობია;
- საქართველოში დღეს სერტიფიცირების პროცესში ჩართულია 126 ბიზნეს ოპერატორი;
- 2019 წელს სერტიფიცირებული იყო 2,018,278 აშშ დოლარის ქართული ბიოპროდუქცია, რომელიც თითქმის სრულად ექსპორტირებული იყო ძირითადად ევროგაერთიანების ქვეყნებში;



Project funded by
EUROPEAN UNION



4.2 რესურსები

საქართველო მიწის რესურსები და მოსარგებლები:

საქართველოს ტერიტორია 69,000 კმ² შეადგენს, საიდანაც 44% - სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, 20% - საძოვარი, 40% ტყით დაფარული მასივები და 4% - დაცული ტერიტორიებია; სარწყავით უზრუნველყოფილია ტერიტორიის მხოლოდ 5%.

2014 წლის მონაცემებით, საქართველოში სულ 642,209 მეურნეობაა, საიდანაც 639,963 საოჯახო, ხოლო 2,246 კომერციული მეურნეობაა.

დაინტერესებული მხარეები და შესაბამისი უწყებები:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

გარემოსდაცვითი და სასოფლო სამეურნეო სექტორის არასამთავრობო ორგანიზაციები;

გარემოსდაცვითი და სასოფლო სამეურნეო სექტორის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები;

გარემოსდაცვითი მოძრაობები.

4.3 დაფინანსების სფეროში არსებული პოლიტიკა და ინსტრუმენტები

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია შედეგი მიმდინარე პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დარგში ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას, თანამედროვე და მათ შორის კლიმატკონივრული ტექნოლოგიების დანერგვისათვის:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება #622 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ (10.11.2014);
- საქართველოს მთავრობის განკარგულება #139 შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში ღონისძიებების შესახებ (27.01.2014);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #56 „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ (12.02.2015);

ამასთან ერთად, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები, როგორებიცაა გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტო, ავსტრიის განვითარების სააგენტო და სხვა, ხელს უწყობენ საქართველოს ფერმერთა ეკონომიკურ გაძლიერებას საგრანტო დაფინანსების გზით და ამ პროცესში აფინანსებენ კლიმატკონივრული ტექნოლოგიების დანერგვასაც.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2019 წელს დააანონსა ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დაწყება, მაგრამ იმავე წელს, განხორციელების დაწყებამდე, ეს პროგრამა შეჩერდა ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფაზე უარის გამო.



Project funded by
EUROPEAN UNION



4.4 შიდა და საერთაშორისო ბაზრები კლიმატ-გონივრული პროდუქტისთვის

- მოთხოვნა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე წლიდან წლამდე იზრდება მოთხოვნა ისეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ კლიმატ-გონივრული წარმოების ჭრილში. მომხმარებელი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს პროდუქციის წარმომავლობას, უარს ამბობს გენმოდირეცირებულ სურსათზე დაუპირატესობას ქიმიური სასუქების გამოყენების გარეშე მოყვანილ პროდუქციას ანიჭებს. ამასთან ერთად, ის დარწმუნებულია, რომ იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი არ შეესაბამება მის მოთხოვნებს და ადგილობრივი პროდუქციაში შესაძლებელია შედარებით მაღალი ფასიც გადაიხადოს. ნაწილობრივ ეს გამოწვეულია იმით, რომ იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია წარმოდგენილია მაღალმოსავლიანი და შორ მანძილზე ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ინდუსტრიული ჯიშებით, რაც მათ გემურ თვისებებზე, ცხადია, უარყოფითად აისახება.

ბიოპროდუქტების ბაზარი საქართველოში ჯერ მხოლოდ ჩანასახის სტადიაზეა. ადგილობრივ მწარმოებელთა უმრავლესობა, თანხების დაზოგვის მიზნით, ბიოსერტიფიკატს მხოლოდ საექსპორტო პროდუქციისათვის იღებს და ადგილობრივ ბაზარზე არასერტიფიცირებულ პროდუქტს პირადი ნდობის და პირდაპირი რეკლამის საფუძველზე ასაღებს ბიოპროდუქტად, რაც ზოგ შემთხვევაში - არ შეესაბამება რეალობას.

- მიწოდება

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრის დიდი წილი იმპორტირებულ პროდუქტს უკავია და ეს სასურსათო პროდუქციის თითქმის ყველა სეგმენტს ეხება. პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად იმპორტიორ ქვეყნებს წარმოადგენენ თურქეთი, ირანი, ეგვიპტე, უკრაინა, შუა აზიის ქვეყნები, ბრაზილია, ხოლო გადამამუშავებული პროდუქციის იმპორტიორები უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ევროპის ქვეყნები გახლავთ.

ქვეყანაში სხვა პროდუქტებთან ერთად ბიოპროდუქტების იმპორტიც ხორციელდება, მაგრამ ეს არ ხდება გამიზნულად და ისინი ქვეყანაში ან სხვა პროდუქტებთან ერთად ასორტიმენტში შემოდის, ან შედარებით დაბალი საბითუმო ფასის გამო.

ადგილობრივი ბიოპროდუქტების მიწოდების ზუსტი მოცულობის დადგენა ბაზარზე შეუძლებელი გახლავთ იმის გამო, რომ ბიობაზრის ჩამოყალიბებლობის პირობებში, ბიომეთოდებით პროდუქციის მწარმოებელი ფერმერები, ხარჯების შემცირების მიზნით, არ ახდენენ პროდუქციის სერტიფიცირებას. 2019 წლის კვლევის შედეგად საქართველოს ფერმერები ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით ქვეყანაში აწარმოებდნენ და ადგილზე რეალიზაციას უკეთებდნენ დაახლოებით 7,000,000 ლარის პროდუქციას.

- კონკურენცია

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე იმპორტირებულ სასურსათო პროდუქტებს მნიშვნელოვანი ბაზრის წილი უკავია, კერძოდ:



Project funded by
EUROPEAN UNION



- იმპორტირებული ხორბლის წილი 77%-ს შეადგენს;
- იმპორტირებული რძისა და რძის პროდუქტების წილი 19.9%.- გასათვალისწინებელი ის ფაქტი, რომ ქართულ პროდუქტად სტატისტიკურ მონაცემებში ითვლება საქართველოში იმპორტირებულ ნედლეულიდან წარმოებული პროდუქციაც, და ამ პროდუქციის მოცულობა მთლიანი მოცულობის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს;
- იმპორტირებული ხორცის პროდუქტების წილი სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად - 56%-ს შეადგენს. ამ შემთხვევაშიც, რძის პროდუქტების ანალოგიურად, ქართულ პროდუქტად ითვლება იმპორტირებულ გაყინულ ხორცისაგან დამზადებული მეორადი ხორცპროდუქტები.

ბაზრის ასეთ სიტუაციას განაპირობებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი, სადაც ძირითადი მწარმოებლები მცირემიწიანი ოჯახური მეურნეობები არიან, რომლებიც უმეტესად თვითუზრუნველყოფაზე არიან ორიენტირებულები. შესაბამისად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, რომელიც ძირითადად იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო/საბრუნავი საშუალებების გამოყენებაზეა დამოკიდებული (რაც, საქართველოს ვალუტის გაუფასურების გამო, მუდმივად ზრდის ხარჯებს) და გამოირჩევა დაბალმოსავლიანობით, მაღალი თვითღირებულებით ხასიათდება, რაც, ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას.

4.5 კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში გამოყენების სარგებელი

კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვას საქართველოში შემდეგი დადებითი შედეგები შეიძლება მოყვეს:

სოციო-ეკონომიური:

- ფერმერთა შემოსავლების ზრდა;
- სოფლის მეურნეობის დარგის მოსავლიანობის ზრდა;
- სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება;
- რესურსების ეფექტური მართვა სოფლის მეურნეობის დარგში;
- მიგრაციის შემცირება.

ფიზიკური:

- კლიმატის ცვლილების შერბილება;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირების ტემპის კლება;
- წყლის რესურსების დეფიციტის შემცირება;
- საშუალო წლიური ტემპერატურის მატების შემცირება;
- ნალექების რეჟიმის ცვლილების შემცირება;
- წყლის ხელმისაწვდომობის ზრდა;
- ფორსმაჟორული მოვლენების შემცირება: წყალდიდობების, წყალმოვარდნების, მეწყერებისა და ღვარცოფების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა;
- კლიმატური ზონების ცვლის შემცირება.

გარემოსდაცვითი:



Project funded by
EUROPEAN UNION



- სათბური აირების გაფრქვევის შემცირება;
- კლიმატის ცვლილების შერბილება;
- ნიადაგის, წყლის და ჰაერის დაბინძურების შემცირება.

4.6 კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის დანერგვის შემაფერხებელი გარემოებები

ძირითად გამოწვევებს კლიმატგონივრულ პრაქტიკის დანერგვამდე წარმოადგენს:

- სოფლის მეურნეობის დაბალი მოსავლიანობა;
- ქიმიური სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების უკონტროლო გამოყენება;
- მოსახლეობის მიერ დაბალი ინფორმირებულობის დონე კლიმატგონივრული ტექნოლოგიების შესახებ;
- კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
- ქართული პროდუქტის დაბალი კონკურენტუნარიანობა იმპორტირებულ პროდუქტებთან შედარებით;
- აგრარული ბიომრავალფეროვნების შემცირება.



Project funded by
EUROPEAN UNION



5. კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობა პრაქტიკაში და მოდელები

ზოგადი მიმოხილვა

ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმირებულობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელთა შორის ძალიან დაბალია. თუმცა, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ელემენტები და ტექნოლოგიები გამოიყენება და სულ უფრო მეტად ვრცელდება ქვეყანაში. ამის მიზეზები შემდეგია:

- წყლის დეფიციტი და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნალექების სიმცირე ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ძირითად სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში;
- საწარმოო საშუალებებზე ფასების ზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ზრდა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის ტურისტული სექტორის სწრაფი ზრდით, სურსათის მოხმარების მატებითა და ლარის გაუფასურებით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დივერსიფიცირება, საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე ნიშური პროდუქტების სეგმენტების განვითარება, მათ შორის ორგანული/ქიმიური საშუალებების გამოყენების გარეშე მოყვანილი პროდუქტების;
- კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი და სიმცირე ქვეყანაში;
- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბაზრის 80%-ის იმპორტირებული პროდუქციით დაკავება;
- პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების წახალისების ბოლოდროინდელი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს მცირე ფერმერებისათვის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის, ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და მიზნობრივი პროგრამების და პროექტების განხორციელებას, ფერმერული მეურნეობების გამსხვილების პროცესის ხელშესაწყობად;
- მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულება გარემოსდაცვითი საკითხებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი;
- ჯერ კიდევ მწვავე ფინანსური დეფიციტი ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი საოჯახო მეურნეობებისათვის, რომლებიც მწარმოებელთა უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ.

ყველა ჩამოთვლილი ფაქტორიდან გამომდინარე, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში დაიწყო იმ კლიმატგონივრული მეთოდების და ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული წარმოების რენტაბელობის გაზრდის, დანახარჯების შემცირების და მაღალი ღირებულების პროდუქტების წარმოების პროცესებთან.



Project funded by
EUROPEAN UNION



მოდელი 1

ადგილობრივი აბორიგენული ჯიშების ხორბლის წარმოება.

ხორბლის წარმოება საქართველოში ერთ-ერთ ტრადიციულ საქმიანობას წარმოადგენდა და ქვეყანა აღიარებულია მსოფლიოში, როგორც ხორბლის სამშობლო. ქართული წარმომავლობა გააჩნია ხუთი ენდემური სახეობის, 150-ზე მეტ სახესვაობის და ჯიშის ხორბალს. თუმცა, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქვეყანაში შეწყდა ადგილობრივი ხორბლის წარმოება, რადგან საბჭოთა გეგმური ეკონომიკის პირობებში საქართველოს საბჭოთა კავშირის ბაზარი სამი ძირითადი პროდუქტით - ღვინო, ჩაი და ციტრუსი, უნდა მოემარაგებინა; ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები ქვეყანაში რუსეთიდან და უკრაინიდან შემოდიოდა. იმ რეგიონებში, სადაც მცირე მასშტაბით მაინც იწარმოებოდა ხორბალი, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ადგილობრივი ჯიშის ხორბალი ცენტრალიზებულად ჩანაცვლდა საბჭოთა კავშირის პერიოდში სელექციის შედეგად მიღებული ინდუსტრიული ჯიშებით, რომლებიც პასუხობდა იმ პერიოდის ეკონომიკური მიზანშეწონილობის პარამეტრებს და შესაბამისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პირობებში, იძლეოდა უფრო მაღალ მოსავალს (საშუალოდ 6 ტ/ჰა). შედეგად, ქართული ხორბალი მხოლოდ სამეცნიერო ინსტიტუტებსა და გენბანკებში შემორჩა. 90-იან წლებში, როდესაც სამეცნიერო ინსტიტუტებს ცენტრალიზებული დაფინანსება შეუწყდათ, ადგილობრივი ხორბალი დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა. 1996 წლიდან ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ახორციელებს აგრარული ბიომრავალფეროვნების აღდგენისა და მდგრადი გამოყენების პროექტს, რომლის ფარგლებშიც ბოტანიკის ინსტიტუტის კულტურული ფლორის განყოფილების მინდვრის კულტურების კოლექციები (ხორბალი, ქერი, სელი, ცულისპირა, ცერცვი, მუხუდო, ღომი და სხვ.) გამრავლდა და გავრცელდა ფერმერულ მეურნეობებში (ძირითადად, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში და შიდა და ქვემო ქართლში).

გავრცელების პროცესში ადგილობრივმა ხორბალმა შემდეგი ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები გამოავლინა:

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
<p>1. დაბალი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პირობებში მეტი მედეგობა არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიმართ და მოსავლის სტაბილურდ მიღების გარანტია (2-2,5 ტ/ჰა), მაშინაც, როდესაც, კლიმატური პირობების გამო, ინდუსტრიული ხორბლის ჯიშების მოსავალი საერთოდ ილუპებოდა;</p> <p>2. ქართული ჯიშის ხორბლის ფქვილიდან მიღებული პროდუქციის მაღალი გემური და კვებითი თვისებები.</p>	<p>1. ხელსაყრელი კლიმატური და შესაბამისი მოვლის პირობებში - დაბალი მაქსიმალური მოსავლიანობა (4 ტ/ჰა) ინდუსტრიული ჯიშების ხორბალთან შედარებით;</p> <p>2. ზოგიერთი ჯიშის ხორბლის მოსავლის ადების მექანიზირებული შესაძლებლობების არარსებობა.</p>



Project funded by
EUROPEAN UNION



გავრცელების პარალელურად, ასოციაცია პერიოდულად ატარებდა პურის ფესტივალებს, დეგუსტაციებს და ფერმერთა დღეებს, რათა გაეზარდა როგორც ფერმერთა, ისე მოსახლეობის ინფორმირებულობა ქართულ ხორბალზე

ამ მოდელის განხილვისას არ შეიძლება არ ვახსენოთ ის წინაპირობები, თუ რატომ იღებენ ხორბლის მოყვანის გადაწყვეტილებას საქართველოს მცირემიწიანი ფერმერები:

- ურწყავი მიწის ფართობების სიმრავლე;
- თესლბრუნვის დანერგვის აუცილებლობა ბოსტნეული კულტურების წარმოების პროცესში;
- მცირემიწიანობა, რაც ხშირად არარენტაბელურს ხდის ხორბლის მოყვანის პროცესში მექანიზაციის გამოყენებით, კლასიკური ტექნოლოგიური ციკლის სრულფასოვნად გამოყენებას.

ხორბლის მწარმოებელთა შორის გამოიკვეთა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევში მცხოვრები ელკანას წვერი ფერმერის, ანზორ მაისურაძის ინტერესი ქართული ხორბლის გამოყენების მიმართ, რომელმაც ადგილობრივი ხორბლის დადებით მხარეებში თავისთვის ბაზარზე დამკვიდრების კარგი შესაძლებლობა დაინახა, რასაც წინაპირობა შემდეგმა საბაზრო სიტუაციამ შეუქმნა:

- მოსახლეობის უკმაყოფილება ბაზარზე არსებული ინდუსტრიული პურის ხარისხით;
- მომხმარებლის მზაობა გადაიხადოს მეტი ხარისხიან პურში;
- მომხმარებლის მოთხოვნა შეიძინოს ე.წ. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

ამ შესაძლებლობების გამოყენების მიზნით მას მოუწია საწყის ეტაპზე პურის წარმოების სრული სასაქონლო ჯაჭვის აგება, რომელიც მოიცავდა როგორც სხვადასხვა ჯიშის ხორბლის მოყვანას, ასევე ფქვილის წარმოებას და შემდგომ პურის ცხოვსაც. ნიშური ბაზრის ჩამოყალიბების და განვითარების შემდგომ ის დღეს მხოლოდ ხორბლის და ფქვილის რეალიზაციით შეიფარგლება, რომლის მომხმარებლებიც არიან მცირე პურის საცხოვრებელი, რომლებიც ექსკლუზიურ პროდუქციას სთავაზობენ მომხმარებელს.

თუ რა ეკონომიკური სარგებელი გააჩნია ადგილობრივი ხორბლის ჯიშების წარმოებას, ინდუსტრიულ ჯიშებთან შედარებით მცირე ფერმერული მეურნეობების პირობებში, შეგვიძლია განვიხილოთ, შემდეგი მონაცემების გამოყენებით:

ადგილობრივი ხორბალი	ინდუსტრიული ხორბალი
მინიმალური მოსავლიანობა - 2 ტ/ჰა მინიმალური ფასი (მარცვლის) - 2 ლ/კგ	მაქსიმალური მოსავლიანობა მცირე მეურნეობების პირობებში ტექნოლოგიური პროცესის დაცვის გარეშე 1,7 ტ/ჰა მაქსიმალური ფასი (მარცვლის) - 0,75 ლ/კგ
მინიმალური შემოსავალი 1 ჰა-ზე - 4000 ლ/ჰა	მაქსიმალური შემოსავალი 1 ჰა-ზე - 1275 ლ/ჰა



Project funded by
EUROPEAN UNION



ერთი და იგივე დანახარჯების ფონზე კლიმატგონივრული მოდელის ეკონომიკური სარგებელი დაახლოებით 200%-ს აღწევს.

მოდელი 2

პომიდვრის ჩითილების წარმოება გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში

ამ მოდელის არსის ახსნისათვის, აუცილებელია ზოგადად მიმოვიხილოთ ბოსტნეულის, კერძოდ პომიდვრის ბაზრის ტენდენციები საქართველოში. პომიდვრის ბაზარი გამოირჩევა მკვეთრი სეზონურობით, რომელიც პირდაპირ აისახება ამ პროდუქტის ფასზე და დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- პომიდვრის ძირითადი მასა იწარმოება საქართველოს შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში ღია გრუნტის წესით;
- საადრეო და საგვიანო პომიდვრის წარმოება ძირითადად ხორციელდება ე.წ. „ცივ“ სათბურებში (გათბობის გარეშე) საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონებში, ქვემო იმერეთის (ქუთაისის და სამტრედიის) და კახეთის (ლაგოდეხის) მუნიციპალიტეტებში. არსებული წარმოება მცირეა და ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას;
- ძირითად კონკურენტს ქართულ არასეზონურ პომიდვრს უწევს მეზობელ ქვეყნებში (უმეტესად თურქეთში) გათბობის გარეშე მოყვანილი პომიდვრი, რომელიც შედევითიანი საბაჟო რეჟიმის საფუძველზე შემოდის საქართველოში. სათბურში პომიდვრის წარმოება თურქეთში მასშტაბურია და სუბსიდირებითაც სარგებლობს, კლიმატი საქართველოსთან შედარებით უფრო თბილი და, შესაბამისად, იმპორტული პროდუქტი მაღალ კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქციას.

ქართული პომიდვრის წარმოება, როგორც წესი, 1 თვით ჩამორჩება იმპორტულს, რის გამოც ის უკვე სარეალიზაციო ფასების ვარდნის პერიოდში მოდის. როგორც წესი, ადგილობრივი პომიდვრის მასიურად შემოსვლის პერიოდისათვის, პომიდვრის იმპორტი ფაქტიურად წყდება, რაც გამოწვეულია მაღალი სატრანსპორტო და ლოგისტიკური დანახარჯებით. ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- როგორც წესი, ადგილობრივი პომიდვრის ბაზარზე მასიური შემოსვლა საქართველოში ივლისის თვიდან იწყება;
- პომიდვრის მოსავლის დაწყებისთანავე, მისი სარეალიზაციო ფასი 2-3 ჯერ მცირდება;
- პომიდვრის მოსავლის მიღება-რეალიზაცია გრძელდება ოქტომბრის თვის ჩათვლით, როდესაც იწყება ტემპერატურის ვარდნა.

ამ პირობების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მცირე ფერმერის, ლერი ციცაგის, მეურნეობაში დაენერგა წარმოების ისეთი მეთოდი, რომელიც ხელს შეუწყობდა პროდუქციის მოცულობის გაზრდას შედარებით მაღალი საბაზრო ფასების პერიოდში. როგორც თითქმის ყველა ქართველ მცირე ფერმერს, ლერი ციცაგსაც ამ მიზნის მიღწევისათვის გზაზე ფინანსური დეფიციტის მწვავე პრობლემა გააჩნდა. ამასთან ერთად,



Project funded by
EUROPEAN UNION



მნიშვნელოვან გამოწვევასკლიმატური პირობები - ადრე გაზაფხულის პერიოდში ატმოსფერული ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის საშიშროება, წარმოადგენდა, რაცმთისპირა ზონაში მდებარეობით და ხეობიდან ამ პერიოდში ცივი ჰაერის ნაკადებითაა განპირობებული.

სიტუაციიდან გამომდინარე, მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

- მეურნეობაში 100 მ² სასათბურე მეურნეობის მოწყობა;
- სასათბურე მეურნეობაში პომიდვრის ჩითილების კასეტებში წარმოება;
- ჩითილების წარმოების ისე დანერგვა, რომ ტემპერატურის ვარდნის საშიშროების გასვლისთანავე შესაძლებელი იყოს უკვე თითქმის ზრდასრული მცენარეების გადატანა ღია გრუნტში.

მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, კლიმატონივრული მოდელის მაგალითმა შემდეგი სახე მიიღო:

- სათბურის სასარგებლო ტერიტორიის 80%-იანი დატვირთვით, 100 მ² სასათბურე კონსტრუქციაში, ერთ იარუსად კასეტების განლაგებით 37,000 ჩითილს გამოყვანა იყო შესაძლებელი;
- ჩითილების გამოყვანის პერიოდი 25-30 დღით ასწრებდა ტრადიციულ გამოყვანის ვადებს;
- გრუნტში გადატანილმა მცენარეები 20-25 დღით ადრე შევიდა მსხმოიარებაში, ვიდრე ტრადიციული წესით დარგული მცენარეები.

ამ მოდელმა შედეგი ეკონომიური ეფექტი გამოიღო:

- მსხმოიარობის (ვეგეტაციის პერიოდი) ხანგრძლივობა 25%-ით გაიზარდა, რამაც დაახლოებით 20%-ით გაზარდა მოსავლიანობა;
- დამატებით მიღებული მოსავლის 20% ისეთ პერიოდს დაემთხვა, როდესაც სარეალიზაციო ფასი (წლის თავისებურებიდან გამომდინარე) 140%-ით აღემატებოდა სეზონურ ფასს;
- მოდელმა მხოლოდ ერთჯერადი, მცირე ინვესტიციის გაღების ხარჯზე 32%-ით მეტი წლიური ფინანსური შემოსავალი მოუტანა ფერმერს.

მოდელი 3

ფერმერულ მეურნეობებში

-ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, აგრარული ბიომრავალფეროვნების პროგრამის ფარგლებში მუშაობს პარკოსანი კულტურების (მაძა, ცულისპირა, მუხუდო და ცერცვი) აბორიგენული ჯიშების კონსერვაციაზე. თესლეულის გამრავლება ფერმერებს შორის გასავრცელებლად ელკანას სადემონსტრაციო ნაკვეთზე - „მარცვლეულის კიდობანი“ (სოფ. წნისი, სამცხე-ჯავახეთი), ყოველწლიურად მიმდინარეობს. ადგილობრივებს, დაინტერესების შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლიათ უსასყიდლოდ



Project funded by
EUROPEAN UNION



წაიღონ რამოდენიმე კილო თესლეული იმი პირობით, რომ მოსავლის აღების შემდგომ წაღებული ოდენობის 1.5 პორციას საერთო „კიდობანში“ დააბრუნებს რათა სხვა ფერმერებიც ჩაერთონ კონსერვაციის პროგრამაში.

პარკოსნები საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონში ოდითგანვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ. ეს ცილებით მდიდარი სურსათი წარმატებით ცვლიდა ხორცს და მრავალ ტრადიციულ კერძში გამოიყენება. ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის განვითარების პერიოდში, საქართველოში, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, აქცენტი მონოკულტურების ფართო გავრცელებაზე გაკეთდა და არჩევანი დიდ ფართობებზე უფრო მარტივად მოსაყვან და მექანიზირებული მეთოდით ასაღებ კულტურაზე, ლობიოზე გაკეთდა, რომელმაც ტრადიციული პარკოსანი კულტურები თითქმის სრულად ჩაანაცვლა. ლობიოს, როგორც პარკოსნის მოყვანამ საქართველოს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიული წარმოებაში დიდი მასშტაბები არ მიიღო და ის ძირითადად მოსახლეთა მცირე საკარმიდამო ნაკვეთებზე გადავიდა, ხოლო იშვიათ შემთხვევებში მექანიზირებული წესით თესლბრუნვისათვის იწარმოებოდა.

პარკოსნებმა თავისი პოპულარობა დღემდე შეინარჩუნეს და მათზე სტაბილური მოთხოვნაა. ამასთან ერთად, ამ პროდუქტზე გარკვეულ პერიოდებში მოთხოვნის მკვეთრი ზრდაც ფიქსირდება, რომელიც მარხვის პერიოდებს ემთხვევა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი იცავს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ფონზე, მომხმარებელთა მოთხოვნაც შეიცვალა და ბაზრის დივერსიფიცირების აუცილებლობა დადგა. ეს ტენდენცია პარკოსან კულტურებსაც შეეხო, რომელიც აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი დაცვისა და გამოყენების პროექტის ფარგლებში არაერთხელ იყო წარმოდგენილი მომხმარებლისათვის სხვადასხვა პრეზენტაცია თუ დეგუსტაციაზე, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამ ფონზე, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“ ხელი შეუწყო ადგილობრივი პარკოსანი კულტურების ნიშური ბაზრის ჩამოყალიბებას და პარკოსანი კულტურების მრავალფეროვნების მიზნობრივ მომხმარებლისათვის პირდაპირ შეთავაზებას.

შედეგად, დღეს აბორიგენული პარკოსანი კულტურების მოყვანისა და გავრცელების საქმეში უკვე 40-ზე მეტი ფერმერია ჩართული, რომლებსაც წარმოების დივერსიფიკაციის სტიმულს ის ფასთა სხვაობა აძლევს, რომელიც დღეს ბაზარი სთავაზობს. მოყვანილი პროდუქციის ბითუმად რეალიზაციის შემთხვევაში ისინი მინიმუმ 30%-ით მეტ შემოსავალს იღებენ, ხოლო მოყვანილი პროდუქციის უშუალოდ მყიდველისათვის მიწოდების შემთხვევაში, მათი მოგება ლობიოს წარმოებასთან შედარებით - 100%-ით იზრდება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, ადგილობრივი პარკოსნების მოსავლიანობა დაახლოებით იგივეა რაც ლობიოსი (1,5-2,5 ტ/ჰა) და ამავდროულად, ისინი უკეთესად იტანენ გვალვას, ფინანსური ეფექტი კიდევ უფრო მაღალია.

უნდა აღინიშნოს, რომ პარკოსანი კულტურების მოყვანის პროცესის მთლიანად ხელით შრომაზე დამოკიდებულების გამო, მათი გავრცელება ჯერ მხოლოდ მცირე მეურნეობებში და საკარმიდამო ნაკვეთებში ხდება, სადაც ძირითადად ხელით შრომა გამოიყენება და ფართო

Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION



მასშტაბებს ვერ აღწევს. თუმცა, მცირე მეურნეობებში ეს ხელს უწყობს როგორც წარმოების დივერსიფიცირებას, ასევე ნიადაგის განოციერების და ფერმერებისათვის დამატებითი შემოსავლის მოტანას.

მოდელი 4

წვეთოვანი რწყვის სისტემები

წვეთოვანი სისტემების დანერგვის პროცესი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საქართველოში საკმაოდ ნელი ტემპებით მიმდინარეობდა, რისი მიზეზიც შემდეგი იყო.:

- წყლის რესურსის გამოყენების დაბალი ფასი;
- ფერმერთა მენტალობა - ქართველი ფერმერები დარწმუნებულები იყვნენ და ზოგ რეგიონში დღესაც თვლიან, რომ ბუნებრივი ნალექები სავსებით საკმარისია მოსავლის მიღებისათვის;
- ფერმერული მეურნეობების მცირე ზომები;
- მუშახელის სიიაფე.

თუმცა, ბოლო პერიოდის განმავლობაში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა და წვეთოვანი რწყვის სისტემების გამოყენება ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ტექნოლოგიად გადაიქცა, რასაც ხელი შემდეგმა ფაქტორებმა შეუწყეს:

- მეურნეობების გაფართოება;
- შექმნილმა წყლის დეფიციტი, რომელმაც ზოგ შემთხვევაში ნაკვეთების დროული მორწყვა საერთოდ შეუძლებელი გახადა;
- ინდუსტრიული, განსაკუთრებით კი მრავალწლიანი კულტურების გაშენება;
- მექანიზაციისა და თანამედროვე აგროტექნიკის გავრცელება და დანერგვა წარმოებაში;
- მუშახელის გაძვირება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე კონკურენციის გაზრდა;
- დაკავებული მუშახელის რაოდენობის შემცირება;
- მოსავლიანობის გაზრდა;
- საჭირო წყლის რესურსების შემცირება
- რწყვის პროცესის დროული ჩატარება;
- საწარმოო საშუალებების (სასუქების) გამოყენების დანახარჯების შემცირება.

ამასთან ერთად, წვეთოვანი რწყვის სისტემების ფართოდ გავრცელებას ასევე ხელს უწყობენ როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული და მიმდინარე სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამები და პროექტები, რომელთა ფარგლებშიც ფერმერს გარკვეული დახმარების მიღებისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაფართოებლად, აუცილებლად მოეთხოვება ან ინვესტირება ან თანაინვესტირება წვეთოვანი სისტემის შექმნა-მონტაჟში.



Project funded by
EUROPEAN UNION



ეს პროცესი მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენებიდან დაიწყო და დღეს უკვე მებოსტნეობის სექტორზეც ვრცელდება, წარმოების კონვენციური, ბიო, თუ სხვა სტანდარტის მიუხედავად.

შედეგად, წვეთოვანი რწყვის სისტემები დღეს უკვე თითქმის საქართველოს ყველა რეგიონშია გავრცელებული და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. ამას, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტექნოლოგიის დახვეწამ, სარწყავი სისტემების ფასების შემცირებამ და მათი გამოყენებით მოსავლიანობის მინიმუმ 40%-ით ზრდამ, რამაც ინვესტიციის უკუგება ზოგ შემთხვევაში ერთ წლამდე შეამცირა.

მოდელი 5

ბიოკუმუსის წარმოება (ვერმიკულტურა)

ვერმიკულტურის გამოყენებით ბიოკუმუსის წარმოების მცდელობა საქართველოში 2000-იანი წლების დასაწყისს დაიწყო, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგი ამას მხოლოდ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მოყვა. პროცესის სტაგნაციის მიზეზი შემდეგი გახლდათ:

- ადგილობრივი წარმოების მასშტაბის სიმცირე და ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტი;
- მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი და იაფ პროდუქტებზე მაღალი მოთხოვნა;
- ფერმერთა და მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობა ქიმიური საწარმოო საშუალებების ორგანიზმზე უარყოფითი გავლენის შესახებ;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონვენციური მეთოდებით გაფართოების ფართო პროპაგანდა.

დღეს უკვე სულ უფრო მეტი მომხმარებელი აქცევს ყურადღებას სასურსათო პროდუქტების წარმომავლობას და მისი წარმოების მეთოდებს, რასაც სულ უფრო მეტი ფერმერი ითვალისწინებს. ამასთან ერთად, ფართოდ ვითარდება სასათბურე მეურნეობები, სადაც ფერმერები ნათლად დარწმუნდნენ გადაუმუშავებელი ნაკელის გამოყენების ნეგატიურ შედეგებში. ამ ფაქტორებმა გაზარდა მოთხოვნა ბიოკუმუსზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს ფერმერთა უმრავლესობა მრავალდარგობრივ მეურნეობას ფლობს, სადაც მემცენარეობის პარალელურად მეცხოველეობითაც არის დაკავებული და საწარმოო საშუალებების ფასის და საბაზრო კონკურენციის ზრდის ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება საკუთარი მეურნეობის რესურსის ეფექტურად გამოყენების საკითხი.

ამ ფაქტორებს დაემთხვა IFAD-ის, სოფლის განვითარების სააგენტოსა და „ელკანას“ მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა სადემონსტრაციო ვერმიკომპოსტის წარმოებები. მათგან ერთ-ერთი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში მოეწყო, ფერმერ ზაზა ხარიბეგაშვილის მეურნეობაში.



Project funded by
EUROPEAN UNION



მოდელის ფარგლებში მოეწყო 60 მ² ვერმიკომპოსტის მეურნეობის, რისთვისაც სენდვიჩპანელებისგან აშენდა სპეციალური შენობა და ფერმერის მეურნეობაში არსებული ნაკელის გადასამუშავებლად პროექტმა შეიძინა 20 კგ ადგილობრივი ჯიშის ჭიაყელა.

ფერერის მიერ განხორციელებული სამუშაოების და მიღებული ფინანსური შედეგების დემონსტრირებამ დიდი ინტერესი გამოიწვია იმ მეურნერთა შორის, რომლებიც სადემონსტრაციო და სასაწავლო ტურების ფარგლებში ეწვივნენ სამოდელო ფერმას.

ფინანსური შედეგი შემდეგი იყო:

- ფერმერის მიერ რეალიზებულმა ბიოჰუმუსის ღირებულებამ 17 თვის პერიოდში (ზამთრის ჩათვლით, როდესაც წარმოების ტემპი მნიშვნელოვნად მცირდება) 15,000 ლარს მიაღწია (2020 წელს ფასი - 1 ლარი/კგ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს სარეალიზაციო ფასი უკვე 1,2 ლარი/კგ-ს შეადგენს;
- ფერმერის მიერ დამატებით რეალიზებულმა ჭიაყელების ღირებულებამ 12,000 ლარი შეადგინა (120 ლარი/კგ), ხოლო კვლავწარმოებისათვის მის განკარგულებაში 100 კგ ჭიაყელა დარჩა;
- მეურნეობის მიერ მიღებული დამატებითი შემოსავლის მოცულობამ ჯამურად 27,000 ლარი შეადგინა.

ვერმიკომპოსტის მეურნეობის ძირითად სამეურნეო შედეგს, ფინანსურის გარდა წარმოადგენს:

- 25-30 ტ ნაკელის უტილიზაცია;
- 17 ტ უმაღლესი ხარისხის, ვირუსებისაგან თავისუფალი ბიოლოგიური სასუქის მიღება.



Project funded by
EUROPEAN UNION



6. დასკვნები

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის კვლევის ანალიზიდან ვხედავთ, რომ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დარგი ძირითად წვრილ ოჯახურ მეურნეობებიდან შედგება - 90%-ზე მეტი;
- მინერალური სასუქების გამოყენება გამოირჩევა კლებადი ტენდენციით (ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირდა 26%-ით);
- სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 44%-შეადგენს, ხოლო გასარწყავიანებულია მხოლოდ საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 5%;
- მიმდინარეოს სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესი, და ეს ტენდენცია - სტაბილურია;
- სოფლის მოსახლეობის შემოსავლებში, შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებიდან მხოლოდ 5,5%-ს შეადგენს;
- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარის დიდი წილი - იმპორტირებულ პროდუქციას უკავია.

მოსახლეობის და ფერმერების ინდივიდუალური გამოკითხვის შედეგების შეჯამება:

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული მოსახლეობის ინდივიდუალური გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობისათვის არ არის ცნობილი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კონცეფცია, ის მას ლოგიკურად აკავშირებს გარემოს დაცვით გლობალურ პროცესებთან და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებასთან.

ამავდროულად კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერასთან ის როგორც გარკვეულ სამეურნეო, ასევე სამომხმარებლო იმედებსაც ამყარებს, კერძოდ კი: სამეურნეო კუთხით - ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო სამომხმარებლო კუთხით - ჯანმრთელი პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

ლოგიკურია დასკვნის გაკეთება, რომ მოსახლეობაში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ დადებითი დამოკიდებულებაა, ხოლო ამ მიდგომების დანერგვის კონცეფცია უნდა მოიცავდეს შედეგ გზავნილებს:

- ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნება;
- ჯანსაღი პროდუქტებით უზრუნველყოფა;
- ფერმერთა მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მომხმარებელთა პროდუქტის შესახებ უტყუარი ინფორმაციით უზრუნველყოფა და პროდუქტის ხარისხის გარანტიების შექმნა.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროებში მოქმედი ორგანიზაციების გამოკითხვის შეჯამება.

ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროებში მოქმედი ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია ცალსახად დავასკვნათ, რომ


Common borders. Common solutions.



Project funded by
EUROPEAN UNION



საქართველოში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმირებულობის დონე დამოკიდებულია დარგში მოქმედ რესპოდენტთა კატეგორიაზე და ამ კატეგორიებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა.



დიაგრამა 6.1-6.3

ინფორმირებულობით კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ გამოირჩევა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მენეჯმენტის რგოლი, ხოლო როგორც მოსახლეობას, ასევე სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედ ფერმერებს და კომპანიებს, კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობის კონცეფციაზე ინფორმაცია ან საერთოდ არ გააჩნიათ, ან მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვთ. ქვეყნის პოლიტიკა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კუთხით მიჩნეულია სუსტად და ფორმალურად, ხოლო ინფორმირებულობა კონკრეტული დოკუმენტების შესახებ, რომლებიც მიმართულია ამ მიდგომების დანერგვაზე ქვეყანაში, შემოიფარგლება დონორი ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსებული კვლევების ან სტრატეგიული დოკუმენტების შედგენის პრეზენტაციებზე გაჟღერებული ინფორმაციით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ აღნიშნული ფაქტი ან ცალსახად უარყოფილია, ან კიდევ დატოვებულია კომენტარის გარეშე, ხოლო ზოგ შემთხვევაში სტრატეგიულ დოკუმენტებში კლიმატგონივრული პუნქტების შეტანა - საკმარის ქმედებად არის მიჩნეული. ამასთან ერთად, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება, გარდაუვლად არის მიჩნეული და აღიარებულია, რომ ქვეყანას ამის რესურსი და პოტენციალი გააჩნია.

აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ძირითად გამოწვევებად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიდგომების დანერგვისათვის აღიარებულია:

- მოსახლეობის და სოფლის მეურნეობის დარგში ჩართული ყველა მოქმედი პირის/ორგანიზაციის ცნობიერების ამაღლება;
- ინვესტიციების განხორციელება კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვაში;
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვა;
- მოსახლეობის და სოფლის მეურნეობის დარგის ძირითადი მოქმედი პირების ჩართვა;
- კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტი



მასალის ავტორი: ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, გაზაფხულის ქუჩა #61

ტელეფონი: +995591195507

ელექტრონული ფოსტა: projects@elkana.org.ge

ვებგვერდი: www.elkana.org.ge

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზში 2014-2020

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

აპრილი, 2021

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და მონაწილე ქვეყნების, სომხეთის, ბულგარეთის, საქართველოს, საბერძნეთის, მოლდოვის რესპუბლიკის, რუმინეთის, თურქეთისა და უკრაინის მიერ. ეს პუბლიკაცია შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ხედვას.